პრესმბუდსმენი A5

ბოლოდან მესამე A6

120 წელი პროფესიულ სცენაზე A7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 7 ნოემბერი, 2005 წელი. №247 (1107)

ფასი 50 თეთრი

ამბები

„ახალი რევოლუცია" - ახალი ტერმინი

"მრეწველების" პარტიაში სტრუქტურული ცვლილებებია. ამიერიდან გოგი თოფაძე მოძრაობის ლიდერი ხდება, პარტიის თავმჯდომარე კი ზურაბ ტყემალაძე იქნება. შეცვლილი წესდების თანახმად, პარტიის ძირითად მიმართულებებს პოლიტსაბჭო განსაზღვრავს.

A2

ამბები

სულხან მოლაშვილის ჯანმრთელობა - მორიგი სკანდალის მიზეზი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მითითების საფუძველზე, პარიტეტული წესით დაკომპლექტებულმა სამედიცინო კომისიამ, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი სულხან მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა დაიწყო.

A2

ამბები

მოჩვენებითი მრავალპარტიულობა

აზერბაიჯანის "ხელისუფლება-ოპოზიციის" ფორმულით "სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა" განისაზღვრება ანტაგონისტური პარტიების პოლიტიკური ისტებლიშმენტის დაბალი განათლებისა და სოციალურ-კულტურულ დონეზე, რომელიც, თავის მხრივ, ტრაიბალიზმის პრინციპს ემყარება.

A3

რევიუ

"ჰარი პოტერი" ეროტიკულ თრილერად იქცა

პოტერომანიით შეპყრობილი პატარები, რომლებმაც წერა-კითხვა საყვარელი პერსონაჟის ხათრით ისწავლეს, იმედგაცრუებულები დარჩებიან.

A8

ამინდი

	7/11	8 /11
თბილისი	12	13
ტყიბული	15	15
სოხუმი	15	16
დმანისი	5	5
გორი	9	9
ონი	7	6
ზუგდიდი	17	16
ახმეტა	12	13
გაგრა	15	14
სამტრედია	17	16

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7950
ევრო	2.1439
ბირვანძა სტერლ.	3.1707
რუბლი	0.0629

ამბები	A 2
ამბები	A 3
განცხადებები	A 4
საზოგადოება	A 5
სპორტი	A 6
რევიუ	A 7
სხვადასხვა	A 8

რას მეცვლის საპარლამენტო არჩევნები?

„წინგადადგმული ნაბიჯი" დემოკრატიზაციისკენ, „დემოკრატიული რევოლუციის" სანაცვლოდ

ნიკა თარაშვილი

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა კვირას განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნები კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნის დემოკრატიზაციის მიმართულებით და მას აუცილებლად მოჰყვება შემდგომი დემოკრატიული რეფორმები. ჯერჯერობით ნაადრევია არჩევნების შედეგებზე საუბარი, ოფიციალური მონაცემები, ალბათ, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი. ოპოზიციური ბლოკი "აზადლიგიც" ირმუნებოდა, რომ მხოლოდ ხმის მიცემის შედეგების გამოცხადების შემდეგ მოაწყობს საპროტესტო აქციებს. თუმცა, აშკარაა, რომ მიუხედავად ოპოზიციონერთა მიერ არჩევნების გაყალბების შესახებ წინასწარ გაკეთებული განცხადებებისა, აზერბაიჯანი "ფერად" რევოლუციას გადაურჩა.

გაგრძელება A3 გვერდზე

მაჟორიტარული არჩევნების ახალი პრინციპები

"ეს კანონპროექტი საქართველოს ორ ბანაკად დაყოფს" - ასეთია ოპოზიციის შეფასება

საარჩევნო კოდექსში ცვლილებების განხილვა, სავარაუდოდ, უახლოეს პლენარულ სხდომაზე საპარლამენტო ოპოზიციის მწვავე განცხადებების ფონზე ჩაივლის. "აღნიშნული კანონპროექტი "ნაციონალურ პარტიაზეა" მორგებული და მხარს არ დავუჭერთ," – აცხადებს ოპოზიცია.

ნანა ქადაგიშვილი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიაც და ხელისუფლებაც უკვე შეთანხმდნენ იმაზე, რომ საარჩევნო კოდექსი სერიოზულ ცვლილებას საჭიროებს. ეს აზრი მათ შუალედური არჩევნების დროს საქართველოში ჩამოსულმა ევროპის საბჭოს ექსპერტის დასკვნამაც განუმტკიცა. კოდექსის ცვლილებების პროექტზე ცესკო-სა და პარლამენტში პარალელურად მუშაობენ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელის მიერ მომზადებულ კონცეფციაზე "24 საათი" უკვე წერდა. რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების საპარლამენტო კომიტეტმა კი საარჩევნო კოდექსის ცვლილებების კანონპროექტი რამდენიმე დღის წინათ მოამზადა.

კანონპროექტის ცესკო-ს ვარიანტი კოდექსის მრავალმხრივ ცვლილებას ითვალისწინებს. პარლამენტისეული ვარიანტი კი, ძირითადად, არჩევნების მაჟორიტარული წესით ჩატარებას ეხება.

გაგრძელება A3 გვერდზე

შოთა რუსთაველი კიევში

23 წლის ვლადიმერ იმერლიშვილი კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორია

ია ვეკუა

გამარჯვებული ნამუშევარი და ავტორი.

ივარ ლუბოვიჩის ფოტო

როგორც კი დავით აღმაშენებლის ძეგლი დიღომში მშვიდობით დაბინავდა და მისი "თბილისიდან გაძევების" მოწინააღმდეგეებიც მიწყნარდნენ, საიდანღაც ზურაბ წერეთლის თავისუფლების მოედნისთვის "განწირული" მონუმენტის მოძულე მომიტინგეები გამოჩნდნენ. ორიოდე დღეა, რაც არც მათგან გაგვიგია საპროტესტო ტექსტები, ამიტომ ქალაქმა მეტ-ნაკლებად დაისვენა. მაგრამ ვისაც საქართველოში ძეგლების დადგმა-არდადგმის საკითხის გადაწყვეტა ევალება, ახალი სალაპარაკო შემოგვთავაზა - გუშინ გაირკვა, როგორი იქნება შოთა რუსთაველის კიევის ცენტრში დასადგამი ძეგლი.

კიევში შოთა რუსთაველის ძეგლის დადგმის ინიციატორი უკრაინის მთავრობაა.

გაგრძელება A7 გვერდზე

შეკითხვები, რომლებსაც ბადებს ევროპული ქარტია

საქართველოში ყოველი ახალი ნორმის შემოტანა ყოველთვის აყოოტაჟის ობიექტი ხდება, მით უმეტეს - თუ სიახლე ეთნიკურ უმცირესობებს და მათი უფლებების დაცვას შეეხება.

ჰაატა ცნობილაძე

ევროპის საბჭოში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანებისას აღებული ვალდებულებების ნაწილი საქართველოს ჯერ კიდევ შეუსრულებელი აქვს. პარლამენტმა სამი მნიშვნელოვანი კონვენციიდან ორი მათგანის რატიფიცირება უკვე "მოახერხა" (სოციალური ქარტია და ეთნიკურ უმცირესობათა შესახებ ჩარჩო კონვენცია), მაგრამ კანონმდებელს მესამე დოკუმენტი – ევროპული ქარტია რეგიონული და უმცირესობის ენების შესახებ ჯერ განსახილველადაც არ მიუღია. როგორც ექსპერტები აცხადებენ, ამის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ კონვენციის რატიფიცირება გარკვეული სამუშაოების ჩატარებას საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებების მხრივ და, ადრე თუ გვიან, საქართველო ევროსაბჭოს წინაშე აღებულ ვალდებულებას შეასრულებს.

"ცალკეულ პოლიტიკურ ვითარებაში ამ დოკუმენტებმა შეიძლება, რაღაც კითხვები აღძრას. მაგალითად: ხომ არ შეუწყობს ეს ხელს პოლიტიკურ დაქსაქსულობას, ხომ არ გააჩენს ახალ მექანიზმებს ეთნონაციონალური, კულტურული თუ რელიგიური დაპირისპირებისათვის? – ამბობს პოლიტოლოგი დავით დარჩიაშვილი, **- მაგრამ, თუ ვსაუბრობთ ევროპასთან ინტეგრაციაზე, მაშინ, ბუნებრივია, რაღაც პრინციპები, ღირებულებები, სამართლის ნორმები უნდა გავიზიაროთ."**

პრინციპები და ღირებულებები კი, რაზეც ქარტიაშია საუბარი, ჩვენი კონსტიტუციით პრაქტიკულად უკვე გათვალისწინებულია. **"ეს არის ჩვეულებრივი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები ადამიანის და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისთვის, რომელსაც ჩვენ კონსტიტუცია ისედაც გვავალდებულებს,"** – ამბობს "საქართველოს ევროპული მოძრაობის" პრეზიდენტი ვასილ ჭყოიძე.

გაგრძელება A2 გვერდზე

საგარეო საქმეთა სამინისტრო აფხაზების ქმედებებს ეპროტესტებს

აფხაზი სამართალდამცველების მიერ გალის რაიონის სოფელ გაგიდას მკვიდრის, 21 წლის დანიელ წურწუმიას ცემით მოკვლის გამო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ სპეციალური განცხადება გაავრცელა. როგორც ცნობილია, წურწუმია იმის გამო მოკლეს, რომ მან უარი თქვა აფხაზურ ჯარში სამსახურზე.

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, აფხაზეთში და განსაკუთრებით გალის რაიონში, კვლავ გრძელდება რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებად ზონაში ადამიანის უფლებების დარღვევები, რამაც ბოლო პერიოდში მასობრივი ხასიათი მიიღო და ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ არის მიმართული.

როგორც ცნობილია, დანიელ წურწუმია სოფელ გაგიდადან აფხაზურმა 60-კაციანმა შეიარაღებულმა ჯგუფმა სოხუმში გაიტაცა. წურწუმია იქ ეგრეთ წოდებულ აფხაზურ ჯარში იძულებით გაიწვიეს. ფიცის მიღებაზე უარის თქმის გამო კი, აფხაზებმა ის სასტიკად აწამეს, რის შედეგადაც გარდაიცვალა.

სხვათა შორის, ვიდრე დანიელ წურწუმიას სასტიკად მოკვლის ფაქტი გახმაურდებოდა, ჭუბურხინჯის ბოლო შეხვედრაზე, ქართულმა მხარემ აფხაზებს განმარტება მოსთხოვა იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზურ არმიაში საშემოდგომო გაწვევის გამო, გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში შეყვანილი აფხაზური მილიციის დამატებითი ძალები ქართულ მოსახლეობას ავიწროებენ.

გალის რაიონის ქართული მოსახლეობის განცხადებით, აფხაზური მხარე დაჟინებით ითხოვს, აფხაზურ არმიაში რაც შეიძლება მეტი ქართველი ახალგაზრდის გაწვევას და საამისოდ სხვადასხვა, ხშირად ძალისმიერ საშუალებებსაც მიმართავენ. აფხაზური მხარე ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ გალის რაიონში აფხაზური მილიციის რეიდი კრიმინოგენული მდგომარეობის გართულებას უკავშირდებოდა და არა ჯარში საშემოდგომო გაწვევას.

გაგრძელება A2 გვერდზე

საერთაშორისო ბიზნესფორუმი თბილისში

რა უნდათ უცხოელებს საქართველოში?

10-11 ნოემბერს თბილისში, სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" საქართველოს ბიზნეს და საინვესტიციო ფორუმი - "Invest in Georgia 2005" გაიმართება. ეს იქნება საქართველოს ბაზრითა და კავკასიით დაინტერესებულ ფინანსისტთა, ინვესტორთა, ბიზნესლიდერთა, მცირე და საშუალო მეწარმეთა საერთაშორისო მასშტაბის პირველი შეხვედრა, სადაც 18 ქვეყნის სხვადასხვა სფეროში მოღვაწე უმსხვილესი კომპანიები, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, წამყვანი ექსპერტები და კერძო ბიზნესი იქნება წარმოდგენილი.

ნინო ნარჩემაშვილი

ასეთი მასშტაბის ფორუმი საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ პირველად იმართება. მისი ორგანიზატორები არიან "ევროპის საფინანსო კონვენცია" (Europian Finans Convention), საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, ეროვნული საინვესტიციო სააგენტო და საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია. ფორუმზე განხილული იქნება ზოგადი საინვესტიციო კლიმატი, ვაჭრობა, ექსპორტი, რეგიონული და ევროკავშირთან ურთიერთთანამშრომლობა, მცირე და საშუალო ზომის წარმოება. წარმოდგენილი იქნებიან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, მსოფლიოს 18 ქვეყნის ყველა დარგისა და მიმართულების კომპანიები, რომლებიც საქართველოში პარტნიორებს ეძებენ. დელეგაციები თბილისში 9 ნოემბერს ჩამოვლენ. სამიტის მიზანი ოფიციალურ განაცხადში ასეა ფორმულირებული: **"Invest in Georgia 2005" თავს უყრის საერთაშორისო ბიზნესერთობის წამყვან წარმომადგენლებს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების გასაცნობად, ბიზნეს-კლიმატის გასაუმჯობესებლად, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში (ტრანსპორტი, ენერგეტიკა, კომუნიკაციები, ფინანსური მომსახურება, ტურიზმი და სოფლის მეურნეობა და სხვა) საინვესტიციო**

გაგრძელება A3 გვერდზე

ქვეყანაში სასიკეთოდ როდის რა შეიცვლება, პროგნოზი ჭირს

საქართველოში კადრების ქრონიკული ცვლილების მიუხედავად, რადიკალური პროგრესული ცვლილებები არ შეინიშნება. "შეიძლება ხელისუფლება მიიჩნევს, რომ კადრების ცვლით სისტემასაც ცვლის, მაგრამ სისტემური ცვლილება გადაწყვეტილებების მიღების და მისი განხორციელების წესებთან არის დაკავშირებული. მხოლოდ საკადრო ცვლილება ამას ვერ უზრუნველყოფს," - აცხადებს პოლიტოლოგი გია ნოდია.

ნოდია მიიჩნევს, რომ თუ ქვეყანაში იმ რაოდენობის საკადრო რესურსი არ დაგროვდება, რომელთაც სერიოზული მასშტაბის ცვლილების განხორციელება შეეძლებათ, ხელისუფლებაში პრობლემა მუდმივად იქნება.

"მმართველი ხელისუფლების ნაკლი საკადრო რესურსების ნაკლებობაა. ამიტომაც საკადრო ექსპერიმენტები მუდმივად ტარდება. რაც შეეხება პრობლემას, მისი შეცვლა კი ჭირს," - აცხადებს ნოდია. მისი თქმით, ახალი სტილის მენეჯერების აღზრდას ხანგრძლივი დრო სჭირდება, ამიტომ პროგნოზი, ქვეყანაში სასიკეთოდ როდის რა შეიცვლება, ოდნავ ჭირს. **ჯი-ეიჩ-ენი**

კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატურა განიხილება

მომავალ კვირას პარლამენტმა აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე უნდა აირჩიოს. ამ თანამდებობაზე ვაკანსია მას შემდეგ შეიქმნა, რაც კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ხევიაშვილი განსახლებისა და საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების საქმეთა მინისტრად დაინიშნა. გავრცელებული ინფორმაციით, ამ პოსტზე ერთ-ერთ კანდიდატად უმრავლესობის წევრ ედვარდ სურმანიძეს ასახელებენ, რომელიც ამჟამად ადგილობრივი თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტს ხელმძღვანელობს. თავად სურმანიძემ ეს ინფორმაცია არც უარყო და არც დაადასტურა. „ჯერჯერობით, არაფერი ვიცი. გარკვეულ კანდიდატურებზე იყო საუბარი, თუმცა ისინი ოფიციალურად ჯერ არ განხილულა. სავარაუდოდ, კომიტეტს უმრავლესობის ერთ-ერთი წევრი უხელმძღვანელებს. ყველაფერი მომავალ კვირას გაირკვევა," - განაცხადა ედვარდ სურმანიძემ. **მედიანიუსი**

ოსებმა ეუთო-ს თავმჯდომარის სახელზე შემუშავებული მიმართვის წარდგენა გადაიფიქრეს

ლუბლიანას შეხვედრისგან ოსური მხარე მხოლოდ პოზიტიურ შედეგებს მოელის, - განაცხადა ოსი სეპარატისტების განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა და შერეული საკონტროლო კომისიის ოსური მხარის თანათავმჯდომარემ ბორის ჩოჩიევმა. "ჩვენ კონსტრუქციულად ვართ განწყობილნი და მიგვაჩნია, რომ კონფლიქტის მოგვარების მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობს; სამშვიდობო მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს და ქართული მხარეც ამ მიმართულებით კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს," - აცხადებს ბორის ჩოჩიევი. მისივე თქმით, ლუბლიანას შეხვედრაზე ოსური მხარე აღარ წარადგენს ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის სახელზე შემუშავებულ მიმართვას, რომელიც ეუთო-ს წევრი ქვეყნების მიერ საქართველოსთვის სამხედრო ტექნიკის მინოდებას ეხება. როგორც ცნობილია, ოსი სეპარატისტების საგარეო საქმეთა მინისტრი მურატ ჯიოევი ცოტა ხნის წინ აცხადებდა, რომ ლიუბლიანას შეხვედრაზე ოსური მხარე წარადგენს აღნიშნულ მიმართვას და ეუთოს ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ საქართველოსთვის სამხედრო ტექნიკის მინოდება შეწყდეს. ბორის ჩოჩიევის თქმით, ამ საკითხზე მხარეებმა 24-25 ოქტომბერს მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე უკვე იმსჯელეს. სლოვენიის ქალაქ ლუბლიანაში ეუთო-ს ეგიდით შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა 15-16 ნოემბერს გაიმართება. ამ ინიციატივით, მოსკოვის შეხვედრის წინ თავად ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე დიმიტრი რუპელი გამოვიდა. **მედიანიუსი**

ოსური მხარე მოსკოვთან კონსულტაციებს გამართავს

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ვოლსკი ცხინვალში მორიგ გეგმურ შეხვედრებს 9 ან 10 ნოემბერს გამართავს. შეხვედრა მხარეებს შორის 4 ნოემბერს გაიმართა, რომლის დროსაც გიორგი ვოლსკი ცხინვალის ეუთო-ს ოფისში ოსი სეპარატისტების განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მოადგილეს შეხვდა. გეგმიური შეხვედრები ითვალისწინებს შერეული საკონტროლო კომისიის სხდომებს შორის კონფლიქტის ზონაში სოციალ-ეკონომიკური პროგრამისა და სამშვიდობო პროცესის საკითხების განხილვას. კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაცია პრეზიდენტ სააკაშვილის სამეტაპიანი სამშვიდობო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია. პროგრამა არამარტო კონფლიქტის ზონას, არამედ მიმდებარე რაიონებსაც ეხება.

"ეს იმდენად მასშტაბური პროგრამაა, რომ ოსურმა მხარემ დრო მოითხოვა, რათა მოსკოვთან კონსულტაციები გამართოს," - განაცხადა გიორგი ვოლსკიმ. რაც შეეხება შერეული საკონტროლო კომისიის სხდომას, იგი სლოვენიის ქალაქ ლუბლიანაში 15-16 ნოემბერს გაიმართება. **მედიანიუსი**

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები თბილისი-სტამბულის რეისებს შეასრულებს

ავიაკომპანია "საქართველოოს ნაციონალური ავიახაზები" თბილისი-სტამბულის რეისის შესრულებას ორშაბათიდან დაიწყებს. როგორც პრაიმ-ნიუსს ავიაკომპანიის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კოდუამ აცნობა, ფრენები ტუპოლევის 80-ადგილიანი ავითიმფრინავით კვირაში ორჯერ შესრულდება. ერთი მიმართულებით ბილეთის ფასი 175 აშშ დოლარია, ხოლო ორი მიმართულებით თბილისი-სტამბული-თბილისი 265 დოლარს შეადგენს. კოდუას ინფორმაციით, რამდენიმე კვირაში აღნიშნულ რეისებს კომპანია კანადური CRG 60-ადგილიანი თვითმფრინავით შეასრულებს. თვითმფრინავი საათში 850 კილომეტრს ავითარებს და დაუჯდომლად 3.500 კილომეტრ მანძილს ფარავს. კომპანია ხომალდის ღირებულებას, 60 მილიონი აშშ დოლარს, სამი წლის განმავლობაში გაისტუმრებს. "ნაციონალურ ავიახაზებს" ტუპოლევის 144-ადგილიანი "ტუ-154" და 60-ადგილიანი "ან-24" გააჩნია. **პრაიმ-ნიუსი**

საქართველო მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდით მეხუთე ადგილზეა

საქართველო დამოუკიდებელი თანამეგობრობის ქვეყნებს შორის, 2005 წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის თვალსაზრისით მეხუთე ადგილზეა. მშპ-ს ზრდა 77 პროცენტის ფარგლებში აღინიშნება. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა აზერბაიჯანში 21,8 პროცენტს, ხოლო სომხეთში 11,6 პროცენტს შეადგენს, ყაზახეთში - 8,8 პროცენტს, ბელორუსში - 8,7 პროცენტს, რუსეთში კი - 5,7 პროცენტს. ტაჯიკეთში მშპ-ს ზრდა 5,1 პროცენტია, ხოლო უკრაინაში 2,8 პროცენტი. 2004 წლის იანვარ-სექტემბრის მაჩვენებელთან შედარებით, 2005 წლის საანგარიშო პერიოდში მოლდოვაში, თურქმენეთსა და უზბეკეთში მშპ-ს მაჩვენებელი არ გაზრდილა. **მედიანიუსი**

საქართველოს მთავრობა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას ანგარიშს ითხოვს

ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა ანგარიშს ითხოვს ბანკის ფინანსურ ინსტიტუტებზე ზედამხედველობის ეროვნული სააგენტოს

მაჟორიტარული არჩევნების ახალი პრინციპები

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

სხვათა შორის, აღნიშნულ საკითხში ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის აზრი, ფაქტობრივად, ერთმანეთს ემთხვევა.

კანონპროექტის მიხედვით, 75 საარჩევნო ოლქი 14-მდე მცირდება. როგორც ცესკო-ს ხელმძღვანელობა ვარაუდობს, ამით საბიუჯეტო ხარჯები რვაჯერ მაინც შემცირდება. დღეს 75 საარჩევნო ოლქში მომუშავე 375 ადამიანის ანაზღაურებაზე 13 მილიონი ლარი იხარჯება.

საარჩევნო სისტემა 74 მაჟორიტარი დეპუტატიდან 50 მაჟორიტარზე გადაეწყობა. რაიონებში მანდატების რაოდენობა კი შემდეგნაირად გადანაწილდება - აჭარა, თბილისი, ქუთაისი – 5 მანდატი; მესხეთი, ქვემო ქართლი, კახეთი – 4 მანდატი; გურია, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო, შიდა ქართლი, სვანეთი, რაჭა – 2 მანდატი (პერსპექტივაში კი - აჭარა – 5 მანდატი, აფხაზეთი – 6 მანდატი, სამაჩაბლო– ერთი მანდატი). პარტიებმა ოთხკაციან კვოტაზე, მინიმუმ, 8 კანდიდატი უნდა წარადგინონ. **"ამ გზით სარეზერვო ფონდს შევქმნით და შუალედური არჩევნები საჭირო აღარ გახდება. თუკი რომელიმე დეპუტატს უფლებამოსილება შეუწყდება, მისი ადგილი რეზერვიდან შეივსება. რაც შეეხება კვოტებს, არჩევნებში გამარჯვებული პარტია რაიონისთვის გამოყოფილ მანდატებს მთლიანად დაიკავებს,"** – აცხადებს რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე ედვარდ სურმანიძე.

საპარლამენტო ოპოზიციის კატეგორიულ წინააღმდეგობას სწორედ ბოლო საკითხი იწვევს. **"აღნიშნული კანონპროექტი ერთ პარტიაზე, "ნაციონალურ მოძრაობაზეა" მორგებული. იგი მაჟორიტარული არჩევნების წესთან ძალიან შორს დგას. მაჟორიტარული პრინციპი იმას ჰქვია, როცა ამომრჩეველი კონკრეტულ პიროვნებას აძლევს ხმას და არა პარტიულ სიას. "ნაციონალურ მოძრაობას" ოლქებში რეიტინგული სახეები არ ჰყავს, ამიტომ ისღა დარჩენია, პრეზიდენტის ჯერ კიდევ შემორჩენილი რეიტინგი გამოიყენონ და მატარებელსმიბმული ვაგონებივით შევიდნენ პარლამენტში. ასეთ კანონპროექტს მხარს ვერ დავუჭერთ,"** – აცხადებს "მემარჯვენე" მამუკა კაციტაძე.

რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების საპარლამენტო კომიტეტის მიერ შეთავაზებული კანონპროექტისთვის მხარდაჭერას არც "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენელი დავით ბერძენიშვილი აპირებს. **"აღნიშნული კანონპროექტი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. კონსტიტუციაში წერია, რომ დეპუტატები მაჟორიტარული წესით უნდა აირჩეს, კომიტეტის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი კი პარტიული სიისთვის ხმის მიცემას გულისხმობს. ამ გზით მხოლოდ იმას მივიღებთ, რომ ერთმანეთისგან განხვავებული ოპოზიციური პარტიები ერთ ბლოკად გაერთიანდებიან, რათა არჩევნებში გამარჯვება შეძლონ. ეს კი საქართველოს ორ ბანაკად დაყოფს. "მოქალაქეთა კავშირისა" და "აღორძინების" მაგალითზე ვიცით, რომ ეს ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს,"** – აცხადებს ბერძენიშვილი.

როგორც ოპოზიცია ვარაუდობს, რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტი "ოპერატიულად შეგდებულ" კანონპროექტს პირველივე მოსმენით მიიღებს და უახლოეს პლენარულ სხდომაზე გაიტანს.

რას შეცვლის საპარლამენტო არჩევნები?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

კვირას, ადგილობრივი დროით 08 საათზე, აზერბაიჯანში მესამე მოწვევის მილი მეჯლისის არჩევნები დაიწყო. მთელი ქვეყნის მასშტაბით 5136 საარჩევნო უბანი გაიხსნა, სადაც დაახლოებით 4,6 მილიონ ამომრჩეველს უნდა მიეცა ხმა.

6 ნოემბერი, უდავოდ, უმნიშვნელოვანესი თარიღი იქნება დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ისტორიაში - და არა მარტო იმიტომ, რომ ჰეიდარ ალიევის გარდაცვალებიდან პირველად, ქვეყნის მოსახლეობა თავის წარმომადგენლებს ირჩევდა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. ამ დღეს აზერბაიჯანს უნდა დაედასტურებინა, რომ შეუძლია პოსტსაბჭოთა სივრცეში უკვე დამკვიდრებული სცენარიდან "ამოვარდნა" – გაყალბებულმა არჩევნებმა ხომ უკვე სამ ქვეყანაში გამოიწვია მეტ-ნაკლებად "ხავერდოვანი გარდაქმნები". ასე რომ, ილჰამ ალიევს უნდა დაემტკიცებინა, რომ "დემოკრატიული სახელმწიფოს" მშენებლობა "რევოლუციის" გარეშეც შესაძლებელია.

გუშინდელი საპარლამენტო არჩევნები იმითაც განსხვავდებოდა წინა ორისგან, რომ პირველად დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ისტორიაში, არჩევნები მაჟორიტარული სისტემით ჩატარდა. 125-ადგილიან პარლამენტში დეპუტატის მანდატზე 47 პარტიიდან და ერთი პარტიული გაერთიანებიდან 1541 კანდიდატი აცხადებდა პრეტენზიას.

საარჩევნო კამპანიის დროს, 500 კანდიდატი გამოეთიშა საარჩევნო მარათონს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით 476-მა კანდიდატმა მოხსნა საკუთარი კანდიდატურა. აზერბაიჯანის სააპელაციო სასამართლომ 39 კანდიდატის რეგისტრაციის ანულირება მოახდინა. ორი მათგანი ცესკოს გადაწყვეტილებით იქნა ამოღებული საარჩევნო სიიდან. მათ გარდა, კიდევ ორი კანდიდატის საარჩევნო სიიდან ამოღება სიკვდილის მიზეზით მოხდა.

ძირითადი კონკურენცია ქვეყნის ორ ძირითად პოლიტიკურ ძალას შორის იკვეთება. ესენია "ენი აზერბაიჯანი" (ახალი აზერბაიჯანი) და მისი ტრადიციული ოპონენტები – პარტია "სახალხო ფრონტი", "მუსავატი" და დემოკრატიული პარტია გაერთიანებული ბლოკში "აზადლიგი" (თავისუფლება).

იმისათვის, რომ საპარლამენტო არჩევნები უფრო სამართლიანი და გამჭვირვალე გაეხადათ, ქვეყნის მასშტაბით ამომრჩევლების მარკირებისთვის გამოიყენეს უხილავი მელანი.

ასევე პირველად დაუშვეს საარჩევნო უბნებზე ეგზიტპოლის ჩამტარებელი კომპანიები. გამოკითხვებს ატარებდა ორი ამერიკული კომპანია – PA Consalting და Mitofsky International, ასევე ესტონური კომპანია saar poll.

აზერბაიჯანის ცესკოს თავმჯდომარის მაზახირ პანახოვის განცხადებით, საპარლამენტო არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობას იღებდა დაახლოებით 60 ათასი პირი 45 ქვეყნიდან და 43 საერთაშორისო ორგანიზაციიდან. დამკვირვებლის ძირითად მისიას ასრულებდნენ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ბიუროს თანამშრომლები. ასევე აზერბაიჯანში იმყოფებოდნენ ევროსაბჭოს, დსთ-ს და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დამკვირვებლები.

"კანდიდატებისთვის ნორმალური და თანაბარი პირობები იყო შექმნილი. სააგიტაციო კამპანიამაც წარმატებით ჩაიარა. ყველაფერი იქნა გაკეთებული იმისთვის, რომ არჩევნები გამჭვირვალედ ჩატარებულიყო," – განაცხადა გუშინ ბაქოს ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად მისულმა ილჰამ ალიევმა. **"დარწმუნებული ვარ, არჩევნები გამჭვირვალედ და სამართლიანად ჩატარდება და მის შედეგებში აზერბაიჯანელი ხალხის ნება იქნება ასახული,"** - ამბობს აზერბაიჯანის პრეზიდენტი.

ბუნებრივია, ქვეყნის პრეზიდენტი "აზერბაიჯანელი ხალხის ნებაში" საკუთარი მხარდამჭერი პოლიტიკური ძალის (მათ შორის თავისი მეუღლის მეჰრიბან ალიევას, რომელიც ერთ-ერთ ოლქში იყრიდა კენჭს) გამარჯვებას გულისხმობდა. რაც, სხვათა შორის, არცთუ საეჭვოდ მოჩანს (რომ არაფერი ვთქვათ ხელისუფლების ხელთ არსებული უზარმაზარი რესურსების გამოყენებაზე, არც ოპოზიციური ძალები არიან ისე ძლიერნი, როგორც საქართველოში, ან უკრაინაში.)

"აშშ-მ ყველანაირი დახმარება გასწია თავისუფალი, სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად. თუმცა, ჩვენ ვერ გავაკეთებთ არჩევანს აზერბაიჯანელი ხალხის ნაცვლად," – განაცხადა გუშინ ამერიკის ელჩმა აზერბაიჯანში რინო ჰარნიშმა. ამერიკელი დიპლომატის თქმით, უკანასკნელი თვეების მანძილზე დაფიქსირდა, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მომენტები, თუმცა, ჯერ-ჯერობით ნაადრევია დასკვნების გაკეთება... როგორც ჩანს, ნავთობით მდიდარ ქვეყანაში დღეს "რევოლუციური" გარდაქმნები არავისთვისაა სასურველი...

მოგვენებითი მრავალპარტიულობა

აზერბაიჯანში არ მომხდარა პოლიტიკურ პროცესებთან ინტელექტის მყარი შერწყმა

რაშად რზაკულიევი
სტრატეგიული თანამშრომლობის ევრაზიული ფონდის პრეზიდენტი (აზერბაიჯანი)

აზერბაიჯანის პოლიტიკური პალიტრა, ერთი შეხედვით, მრავალფეროვანია. ქვეყანაში მოქმედებს იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული, დაახლოებით, 60 და 100-ზე მეტი არარეგისტრირებული პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია. მათი საქმიანობა კი ათობით ელექტრონული და ასობით ბეჭდვითი საინფორმაციო საშუალების მიერ შუქდება.

სინამდვილეში კი, ვითარება ცოტა განსხვავებულია; კერძოდ, მრავალპარტიული სისტემა კრიზისულ მდგომარეობაშია, რადგან პოლიტიკური პარტიებისადმი ნდობის კოეფიციენტი ძალიან დაბალია. ჩემი აზრით, ქვეყნის პოლიტიკური ინფრასტრუქტურა ძირეულ რეფორმირებას საჭიროებს. პოლიტიკური პოზიციის გამოხატვა სახელისუფლებო პარტიებისადმი წინააღმდეგობასა და ტრადიციულ ნაციონალ-დემოკრატიულ ოპოზიციურ პარტიას (რომელიც 1993 წლიდან მოქმედებს) ემყარება. აღნიშნული პოლიტიკური პოლუსების ურთიერთდაპირისპირება კი ქმნის თითქოს მრავალფეროვან სურათს. მაგრამ რომელ პოლიტიკურ პლურალიზმზე შეიძლება იყოს საუბარი მაშინ, როდესაც პოზიცია მხოლოდ ორია - შენ ან ემხრობი ხელისუფლებას ან ოპოზიციას უჭერ მხარს. ასეთმა მიდგომამ კი საზოგადოება უკვე დიდი ხანია, დაღალა.

სამწუხაროდ, მესამე - ცენტრისტული გზის ჩამოყალიბების მცდელობამ ჯერ-ჯერობით შედეგი ვერ გამოიღო, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მიდგომის არსებობაზე მოთხოვნილება საზოგადოების მხრიდან შეუიარაღებელი თვალითაც კი ჩანს. ასეთი მიმართულების ჩამოყალიბებას იდეოლოგიური თუ პოლიტიკური კუთხით ბევრი ეცადა, მათ შორის მეც. ეს მცდელობა ცენტრისტულ ძალებს შორის ურთიერთგაგების ნაკლებობამ, რესურსების სუსტმა ბაზამ და სპეკულაციებისადმი ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის ბანალურმა მიდრეკილებამ ჩააგდო, რომ აღარაფერი ვთქვათ პროსახელისუფლებო და ოპოზიციური მასმედიის კონსოლიდირებულ იერიშზე.

ამდენად, აზერბაიჯანის "ხელისუფლება-ოპოზიციის" ფორმულით "სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა" განისაზღვრება ანტაგონისტური პარტიების პოლიტიკური ისტებლიშმენტის დაბალი განათლებისა და სოციალურ-კულტურულ დონეზე, რომელიც, თავის მხრივ, ტრაიბალიზმის პრინციპს ემყარება. ქვეყანაში არ ხდება უსაზღვრო ამბიციების მქონე ლიდერების შეცვლა... ამ პარტიულ-პოლიტიკურ რეგრესში ლომის წილი, თავის მხრივ, პოლიტიკური ჟურნალისტიკის დაბალი დონის ანალიტიკოსებსაც შეაქვთ.

ჩემი აზრით, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა, ფაქტობრივად, პარტიული და პოლიტიკური სივრცის მიღმა რჩება.

პარტიული საქმიანობის დაცემა ასევე განპირობებულია საკანონმდებლო ბაზის შესაბამისი თანამედროვე პირობების არქონით, რომელიც პოლიტიკური სტრუქტურების მოღვაწეობას უნდა ზღუდავდეს; ასევე პოლიტიკური მენეჯმენტის დაბალი დონითა და სუსტი საკადრო პოტენციალით; არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია საარჩევნო პრაქტიკაში პროპორციული სისტემის გაუქმება.

თუ დეტალურად განვიხილავთ საზოგადოებრივ აზრსა და სტერეოტიპებს, პოლიტიკასა და აზერბაიჯანელ პოლიტიკოსებზე არსებულ წარმოდგენას, პოლიტიკური მითოლოგიის ფორმირების გზებს, ასევე ძირითადი კომუნიკაციური კავშირების სისტემებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება სოციუმის სხვადასხვა დონეზე მითოლოგიის გავრცელება, შემდეგ დასკვნამდე მივალთ - კერძოდ, უმრავლესობის აზრით:

სამმობლოზე შეყვარებული პარტიული პოლიტიკოსების რაოდენობა, რომლებიც ყველაფერზე წინ ქვეყნის ინტერესებს აყენებენ, ძალიან მცირეა. მათთვის პოლიტიკა დახურული ციკლის კაპიტალმომცველი ბიზნესია, რომელსაც მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის იყენებენ. ზოგჯერ კი რადიკალურ პარტიებსაც აქვთ მომგებიანი კავშირები პოლიტიკურ-ფინანსურ დაჯგუფებებთან.

პარტიული ისტებლიშმენტის, როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციურის რეპროდუქციულობა, ფაქტობრივად, ნულის ტოლია. ეს კი მრავალპარტიულობისადმი ხალხის ნდობას ძლიერ არყევს.

ქვეყნის პრეზიდენტი არ ერევა პარტიულ ორთაბრძოლაში, რაც მას მხარდამჭერთა ბაზას უნარჩუნებს. პრეზიდენტ ალიევის მხარდამჭერი ბაზა ჯერჯერობით 2003 წლის 15 ოქტომბრის არჩევნებით განისაზღვრება, თუმცა მას აქვს იდეოლოგიური და პოლიტიკური თანაორგანიზების გარკვეული პერსპექტივა.

სახელისუფლებო უმრავლესობა ვერც პრეზიდენტს და ვერც ერს სთავაზობს მმართველობის უნარის მქონე სისტემას, რადგან იგი მოძველებულ ინფრასტრუქტურის სტანდარტებზეა აგებული.

საერთაშორისო ინსტიტუტები კი მხოლოდ იმიტომ უჭერენ მხარს პრეზიდენტს, რომ სხვა ალტერნატივა არ არსებობს. უახლოეს მომავალში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის გარანტიას ვერც ერთი პოლიტიკური პარტია იძლევა. ვერც ერთმა ოპოზიციურმა პარტიამ შეძლო საკუთარი სამოქმედო პროგრამის შეთავაზება საზოგადოებისათვის.

დაბოლოს, აზერბაიჯანის უპირველესი პრობლემა ის არის, რომ არ მომხდარა პოლიტიკურ პროცესებთან ინტელექტის მყარი შერწყმა.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ აზერბაიჯანში კონკრეტული პოლიტიკური პარტიების მოქმედების ანალიზი ჩემი მიზანი არ ყოფილა, თუნდაც იმიტომ, რომ ერთ წერილში ამის გადმოცემა შეუძლებელია. თანაც თუ გავითვალისწინებთ 2005 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მმართველი თუ ოპოზიციური პარტიების მიერ მოწყობილ მიტინგებზე ხალხის რაოდენობას, ყველაფერი ისედაც ნათელი გახდება.

მმართველი პარტიები ღიად სპეკულირებენ პრეზიდენტ ილჰამ ალიევის რეიტინგით და ამგვარად ცდილობენ საზოგადოებაში შესუსტებული პოზიციების შენარჩუნებას.

რადიკალმა ოპოზიციონერებმა კი დაუფარავად გადაწყვიტეს ხულიგნობაზე გადასვლა მას შემდეგ, რაც ხელისუფლების მიერ სანქცირებულ მიტინგებზე ხალხის რაოდენობა რეკორდულად დაბალი აღმოჩნდა. დედაქალაქის ცხოვრების რიტმის დარღვევის ასეთმა პრიმიტიულმა მიდგომამ კიდევ უფრო გაამძაფრა ჩემი სკეფსისი ქვეყანაში არსებული პარტიული სისტემისადმი.

მიმაჩნია, რომ ილჰამ ალიევის ხელისუფლებაში მოსვლით აზერბაიჯანის ახალი პოლიტიკური ინფრასტრუქტურა ეს ესაა იწყებს მოდერნიზაციას. რეალური პოლიტიკური ძალების ფორმირება კი მხოლოდ მომავლის საქმეა.

თანამედროვე გამოწვევების პირობებში, როდესაც პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალური ურთიერთობების სფეროებს მთლიანად მოიცავს გლობალიზაცია, საჭიროა ადეკვატური პასუხისათვის კარგად გააზრებული სისტემის შექმნა. ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია ამ პროცესში გააზრებულად ჩართვა. ამ შემთხვევაში კი წარმატების უმთავრესი ელემენტი თანამედროვე პოლიტიკური მენეჯერების კლასის წარმოქმნაა, რომელიც შეძლებს ამ რთულ და ურთიერთგამომრიცხავ რეალობაში ორიენტირებას. ამ კლასის შექმნა კი დროსა და ერის ნებაზეა დამოკიდებული და ასევე სახელმწიფოს ამჟამინდელი მმართველის გულწრფელობაზე.

საერთაშორისო ბიზნესფორუმი თბილისში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

და საპრივატიზაციო შესაძლებლობების განსახილველად." საქართველოს ხელისუფლებაში იმასაც ელიან, რომ ფორუმის მსვლელობისას ადგილობრივ და უცხოურ კომპანიებს შორის სერიოზული კავშირები დამყარდება.

ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი ვასილ კოვზირიძე აღნიშნავს: **"ბიზნესისა და ინვესტიციების ფორუმი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ აქამდე "ინვესთ ინ ჯორჯიას" სახელწოდებით გამართული ბიზნესფორუმები მხოლოდ ერთ რომელიმე ქვეყანასთან კონტაქტების დამყარებას ემსახურებოდა** (გასული წლის 11 ნოემბერს "Invest in Georgia 2004" ლონდონში ჩატარდა. შემდეგ იყო გასვლითი ფორუმები რომში და ტოკიოში). **ამჯერად კი მასშტაბები გაიზარდა - წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა დარგების სხვადასხვა ორგანიზაციები სხვადასხვა ქვეყნებიდან. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კომპანიებმა თვითონ გამოთქვეს დაინტერესება ბიზნესფორუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად."**

რაც შეეხება იმას, თუ რომელი ქართული კომპანიები მიიღებენ მონაწილეობას ფორუმის მუშაობაში და იქნება თუ არა წარმოდგენილი კერძო სექტორი, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე თამარ კოვზირიძე საგანგებოდ აღნიშნავს: ასეთი ფორუმების ორგანიზების მიზეზი სწორედ ის გახლავთ, რომ კერძო სექტორს სხვადასხვა ქვეყნებში თავის პოტენციურ პარტნიორებთან კონტაქტების დამყარების საშუალება მიეცეს. ქართული მხრიდან კერძო კომპანიების საკმაოდ ფართო სპექტრი იქნება წარმოდგენილი - როგორც სოფლის მეურნეობის (განსაკუთრებით, ღვინის წარმოების), ასევე საბანკო სექტორის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, ნავთობის და სხვა დარგებიდან. ქართული მხარის მიზანია, სამამულო კომპანიებს პარტნიორების მოძებნისას მაქსიმალური ხელშეწყობა ჰქონდეთ. თამარ კოვზირიძის განცხადებით, **"ბიზნესფორუმების ორგანიზების ინიციატივა, ძირითადად, ორ მიზანს ემსახურება - მოხდეს საქართველოს პოპულარიზაცია და კერძო ბიზნესს კონტაქტების დამყარების შესაძლებლობა მიეცეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კერძო ბიზნესის წარმომადგენლებს აქვთ მოქმედების სრული თავისუფლება, დაამყარონ კონტაქტები და თვითონ განსაზღვრონ ინვესტიციების პირობები თუ სხვა დეტალები."** მისივე ინფორმაციით, მომდევნო ფორუმი 2006 წლის 2 მარტს არის დაგეგმილი აშშ-ში, კერძოდ, ნიუ-იორკში, რომელიც საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის თანამშრომლობით მოეწყობა, სადაც აგრეთვე წარმოდგენილნი იქნებიან ქართული კომპანიები. მათი რეგისტრაცია უკვე რამდენიმე დღეში დაიწყება.

ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი - განხილული იქნება თუ არა სამიტზე კერძო სექტორში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხრიდან ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობა?

თამარ კოვზირიძის განცხადებით, **"საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო ამის წინააღმდეგი ნამდვილად არ არის. მეტიც, ჩვენ ამას მივესალმებით. უბრალოდ, გარიგება უშუალოდ სუბიექტებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე უნდა მოხდეს. მათ მოქმედების სრული თავისუფლება აქვთ."**

საბოლოო ჯამში, რას მისცემს საქართველოს ეს ფორუმი? **"საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის" აღმასრულებელი მდივანი გიორგი ისაკაძე აღნიშნავს, რომ, უპირველეს ყოვლისა, ეს იქნება ურთიერთობების დამყარების საუკეთესო შესაძლებლობა. უკვე ორი თვეა, ქართული ბიზნესის წარმომადგენლებს დარიგებული აქვთ წინასწარი პროგრამა. ანუ მათ უკვე აქვთ თავიანთი კონკრეტული თემები და გეგმები, რაზე აპირებენ საუბარს ინვესტორებთან. ველოდებით ურთიერთობების სერიოზულ განვითარებას ბანკებს შორის. სერიოზული დაინტერესება აქვთ ნავთობკომპანიებს და საკონსულტაციო კომპანიებს. რომლებიც, შეიძლება ითქვას, სადაზვერვო სამუშაოებს ატარებენ ამ ეტაპზე და სურთ კონკრეტული საინვესტიციო წინადადებების გაცნობა თავიანთი კლიენტებისა და პარტნიორებისათვის. საერთო ჯამში, ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ მოხდეს საქართველოს ცნობადობის ამაღლება და ინვესტიციების მოზიდვა."**

მოლოდინი დიდია. საქართველოს ბიზნეს და საინვესტიციო ფორუმს 10 ნოემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი გახსნის. რა შედეგებით დასრულდება მისი მუშაობა და გამართლდება თუ არა საქართველოს ხელისუფლების და უცხოელი ინვესტორების იმედები, ამის პროგნოზირება ძნელია.

მოკლედ

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას მხოლოდ ოთხი პოლიტიკური ძალა მიიღებს

გუშინ სასტუმრო "თბილისი მერიოტში" გამართულ სემინარზე საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა პარტიების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხი განიხილეს. სემინარში მონაწილეობდნენ როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტის ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანს ეკუთვნის და ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით წინასწარ მემორანდუმს საქართველოს ხუთმა წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიამ ხელი უკვე მოაწერა. მიხეილ მაჭავარიანის პროექტის მიხედვით, იმ პარტიას, რომელიც არჩევნებში 100-დან 200 ათასამდე ხმას მიიღებს, თითოეულ ხმაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ორი ლარი გამოეყოფა. ის პარტია კი, რომელსაც 200-დან 500 ათასამდე ამომრჩეველი დაუჭერს მხარს, თითო ხმაზე ლარნახევარს მიიღებს. თუ პოლიტიკურმა ორგანიზაციამ 500 ათასზე მეტი ხმა დააგროვა, ის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთ ამომრჩეველზე ერთი ლარით დაფინანსდება. თუ პარლამენტი ამ კანონპროექტს დაამტკიცებს, 2004 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან "ნაციონალური მოძრაობა", "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლები", "ლეიბორისტული პარტია" და პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლება" დაფინანსდებიან. **მედიანიუსი**

რეგიონებში ინდივიდუალური გამრიცხველიანება შეფერხებებით მიმდინარეობს

უამინდობის გამო საქართველოს რეგიონებში ინდივიდუალური გამრიცხველიანება შეფერხებებით მიმდინარეობს. როგორც "ინტერპრესნიუსს" საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში განუცხადეს, წვიმების გამო ინდივიდუალური გამრიცხველიანება გეგმის მიხედვით ვერ მიმდინარეობს. **"ამ დროისათვის დამონტაჟებული უნდა ყოფილიყო 22 ათასი მრიცხველი, თუმცა დღეისათვის 18 ათასია დამონტაჟებული. სველ ელექტრობოძებზე სპეციალისტების ასვლა უსაფრთხოების დარღვევა იქნება, ამიტომ წვიმებმა ეს პროცესი შეაფერხა,"** - განაცხადეს კომპანიაში. რეგიონების ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესი 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 20 მლნ. ლარით დაფინანსდა. აღნიშნული თანხით საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ ქვეყნის 15 ქალაქსა და დაბაში 110 ათასი აბონენტი უნდა გაამრიცხველიანოს. ამას ემატება ბორჯომისა და ბოლნისის გამრიცხველიანება, რომლებსაც ამ რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები აფინანსებს. 110 ათასი მრიცხველის დამონტაჟება 2006 წლის გაზაფხულზე უნდა დასრულდეს. **ინტერპრესნიუსი**

კომერციული ბანკების რესურსები 30.5 პროცენტით გაიზარდა

კომერციულ ბანკების რესურსები 9 თვის განმავლობაში 30.4 პროცენტით გაიზარდა. როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს ეროვნული ბანკიდან (სებ) აცნობეს, რესურსები არასაბანკო ორგანიზაციებისა და კერძო პირებისგან მოზიდული სახსრების ხარჯზე გაიზარდა. სებ-ის ინფორმაციით, ეროვნულ ვალუტში მოზიდული სახსრების ოდენობამ 41.0 პროცენტით ხოლო უცხოურ ვალუტაში - 28.7 პროცენტით იმატა. 182 534 ათასი ლარის ოდენობის მოსახლეობის ანაბრების მიხედვით, ბანკებს შორის პირველ ადგილზეა "თიბისი ბანკი", "საქართველოს ბანკის" მიერ მოზიდული ანაბრების მოცულობა 96 351 ათას ლარს შეადგენს. "გაერთიანებულ ქართულ ბანკში" განთავსებული ფიზიკური პირების ანაბრები 65 223 ათას ლარს აღწევს. **პრაიმ-ნიუსი**

Kuzanov Clinic
INN
კუზანოვის კლინიკა

1. ლაზერული ეპილაცია
2. ლაზეროთერაპია (ტყლიპების, შემანგიომების, ხალების, სვირინგების მოცილება)
3. მეზოთერაპია
4. დერმოაბრაზია
5. ქიმიური ფილინგები
6. სხეულის ლაზერული კორექცია
7. ენერგეტიკული ქოქონი (ნერვული დაძაბულობა, დეპრესია, რევმატიზმი, ოსტეოქონდროზი, კუნთების დაძაბულობა)
8. პედიკური
9. ნარბების კორექცია
10. კოსმეტოლოგია
11. მანიკური
12. სტომატოლოგია
13. თვალის სრული დიაგნოსტიკა და ქირურგია

თქვენი არჩევანი - ჩვენი პროფესიონალიზმია
გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com

The Eurasia Foundation
Georgia Office

*** "ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ "ევრაზიისაგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს პროექტს "სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ანტიკორუფციული ექსპერტიზა". მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს "ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი" აგებს.**

E P R C
Economic Policy Research Center

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის შედეგების მონიტორინგი

მიუხედავად იმისა, რომ უკვე წელიწადზე მეტია, რაც საქართველოში ბიუჯეტი გადაჭარბებით სრულდება, ხელისუფლების მიერ მუდმივად ხდება მისი შემოსავლების და ხარჯების კორექტირება. ხშირად იცვლება ბიუჯეტის წინასწარი გეგმები, მათ შორის, უპირატესად, პოსტ-ფაქტუმ. იმავდროულად, როგორც მობილიზებული შემოსავლების, ასევე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ყოველთვის არ არის ხელმისაწვდომი და სრულყოფილი.

განხორციელებული მონიტორინგის მიუთითებს, რომ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი ქვეყანაში შორს არის იდეალურისგან და საკმაოდ ბევრ კითხვას ბადებს. კერძოდ, ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყანაში ბიუჯეტის შემოსავლების როგორც დაგეგმვა, ისე - ბიუჯეტის შესრულება ხდება, ძირთადად, ორი-სამი ე.წ. ძირითადი გადასახადის საფუძველზე, როგორიცაა, მაგალითად, დამატებითი ღირებულების გადასახადი და აქციზი. საგულისხმოა ისიც, რომ საბიუჯეტო წლის გაწერა არ ხდება თანაზომიერი სახით და როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების სიმძიმე უპირატესად წლის ბოლო პერიოდზე მოდის.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში დღემდე არ ხდება საბიუჯეტო შემოსავლების დათვლა და ანალიზი ცალკეული გადასახადების და მათი ურთიერთშეედარების გზით. ანალიზის არარსებობა და, შესაბამისად, საზოგადოებრივი კონტროლის სისუსტე კი ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის სხვადასხვა მაქინაციებისა და კორუფციული ტიპის ქმედებებისთვის.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ საზოგადოებას საკმაოდ მწირი ინფორმაცია მიეწოდება გაწეული ხარჯების თაობაზე და ხშირ შემთხვევაში უპასუხო რჩება კითხვება, ხელისუფლების მიერ ბიუჯეტის გადაჭარბების შესახებ გაკეთებული ინფორმაციების ფონზე, რატომ ვერ ხერხდება მთელი რიგი ხარჯების დაფინანსება?

საბოლოო ჯამში, ბიუჯეტის შემოსავლების დეტალური (გადასახადების მიხედვით) ანალიზის გარეშე ისევ გაუმჭვირვალედ რჩება როგორც მიღებული საბიუჯეტო შემოსავლების რეალური წყაროები, ასევე - რეალური საბიუჯეტო რეზერვების არსებობა, ეს ყველაფერი ისევ და ისევ ფისკალური ორგანოების შიგნით "იხარშება" და საზოგადოებრივ ცონტროლს მოკლებულია, რაც საბიუჯეტო სფეროში არსებული კორუფციული ხვრელების ამოქოლვას აფერხებს და ნოყიერ ნიადაგს ქმნის ახალი კორუფციული გარიგებებისთვის.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მდგომარეობა

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 9 თვის (იანვარი-სექტემბერი) შესრულების მაჩვენებელები ასე გამოიყურება:

ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით, ამ პერიოდში ბიუჯეტში უნდა შემოსულიყო 1 მილიარდ 688,14 მილიონი ლარი, რეალურად შემოსულია 1 მილიარდ 898,44 მილიონი (ანუ ნავარაუდევზე 210,3 მილიონით მეტი). 9 თვის განმავლობაში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლები (1 მილიარდ 269,28 მილიონი ლარი) 56%-ით აღემატება 2004 წლის მაჩვენებელს (814,64 მილიონი ლარი), 2003 წლის შედეგებთან შედარებით კი (501,86 მილიონი ლარი) ზრდა 153%-ს შეადგენს. 2003 და 2004 წლების ანალოგიურ პერიოდებს შორის ზრდა კი 62%-ს აღწევს (დიაგრამა 1 და ცხრილი 1).

დიაგრამა 1



ცხრილი 1

2003	2004	2005
501,86	814,64	1 269,28
	62%	56%
		153%

ჯამურად 9 თვის განმავლობაში საგადასახადო შემოსავლების კუთხით მობილიზებული 1 მილიარდ 269,28 მილიონი ლარიდან საგადასახადო დეპარტამენტის მიერ მობილიზებულია 598,8 მილიონი ლარი, რითაც გეგმა (575,5 მილიონი) გადაჭარბებულია 4%-ით.

საბაჟო დეპარტამენტის მიერ, გეგმით გათვალისწინებული 598,5 მილიონი ლარის ნაცვლად, მობილიზებულია 670,5 მილიონი ლარი (გადაჭარბება 12%).

გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული არასაგადასახადო შემოსავლებისა მობილიზების ნაწილშიც: ნავარაუდევი 186,9 მილიონი ლარის ნაცვლად შესრულება 215,8 მილიონს (115%) შეადგენს.

9 თვის გეგმა ვერ შესრულდა კაპიტალური შემოსავლების (283,4 მილიონის ნაცვლად მობილიზებულია 275,03 მილიონი ლარი ანუ დაგეგმილის 97%) და გრანტების (გეგმა - 43,9 მილიონი ლარი, შესრულება 41,8 მილიონი, გეგმის 95%) ნაწილში (ცხრილი 2).

ცხრილი 2

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გეგმა 2005 წელი (მლნ ლარი)

	საბაჟო დეპარტამენტი	საგადასახადო დეპარტამენტი*	არასაგადასახადო შემოსავლები	კაპიტალური შემოსავლები	გრანტები	ადგილობრივი თვითმართვის ნაწილი	სულ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები
შემოსავლების წლიური გეგმა (მლნ ლარი)**	**881,16**	**802,79**	**280,28**	**306,80**	**136,65**	**337,90**	**2825,58**
შემოსავლების 9 თვის გეგმა	**598,53**	**575,48**	**186,89**	**283,35**	**43,90**	**[illegible]**	**2238,42**
შემოსავლები დღემდე (მლნ ლარი)	670,49	598,79	215,84	275,03	41,80	96,49	**1898,44**
შემოსავლები დღემდე (პროცენტები)	**112%**	**104%**	**115%**	**97%**	**95%**	**18%**	**85%**
გეგმის შესრულებამდე (მლნ ლარი)	71,96	23,31	28,96	-8,32	-2,10	-453,79	-339,98
წლის ბოლომდე მესრულებელი (მლნ ლარი)	**210,67**	**204,00**	**64,44**	**111,77**	**94,85**	**241,41**	**927,14**

* სახელმწიფო სტრუქტურის სოციალური გადასახადის ჩათვლით

** 26 მილიონი კორექტირებული კანონის შესაბამისად

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანალიზი მიუთითებს, რომ ქვეყნის საბიუჯეტო პოლიტიკაში კვლავაც უცვლელია ის ტენდენციები, რომლებიც მასში უკანასკნელი წლების განმავლობაში შეინიშნებოდა.

კერძოდ, საგადასახადო შემოსავლების პარამეტრი (როგორც საბაჟო, ასევე საგადასახადო დეპარტამენტის ნაწილში) თავიდანვე იგეგმება და ბიუჯეტში იდება რეალურზე უფრო ნაკლები მოცულობით, რაც უზრუნველყოფს წლის უმეტესი თვეების საგადასახადო შემოსავლების გეგმის გადაჭარბებით შესრულებას. იმ თვეებში კი, როცა საჭიროა კვარტლის მონაცემების კორექტირება, ფიქსირდება დანაკლისი, ხდება პროგნოზისა და შესრულების ე.წ. გასწორება მაგალითად მაისისა და სექტემბრის თვეებში (ცხრილი 3 და დიაგრამა 2).

ცხრილი 3

2005 წ სახელმწიფო ბიუჯეტი (მილიონი ლარი)

თვე	პროგნოზი	შესრულება	სხვაობა
[illegible]	103,30	119,53	16,23
[illegible]	109,91	119,37	9,46
[illegible]	168,98	246,91	77,93
[illegible]	142,90	326,55	183,65
[illegible]	379,19	151,62	-227,57
[illegible]	180,90	191,27	10,37
[illegible]	176,24	217,68	41,44
[illegible]	158,69	191,55	32,86
[illegible]	268,03	188,94	-79,09
[illegible]*	0,00	0,00	0,00
[illegible]*	0,00	0,00	0,00
[illegible]*	0,00	0,00	0,00
წლიური	**1 688,14**	**1 753,42**	
წლიური გეგმა კანონით		2487,68	

დიაგრამა 2



საგადასახადო შემოსავლების ნაწილში გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, ბიუჯეტში გაწერილი ხარჯების პარამეტრი რომ შესრულებულიყო, უნდა მომხდარიყო 2 მილიარდ 238,4 მილიონი ლარის მობილიზება, რეალურად კი ეს მაჩვენებელი 1 მილიარდ 898,44 მილიონი ლარს შეადგენს (დეფიციტის დაფინანსების წყაროების ჩათვლით), რაც დაგეგმილის მხოლოდ 85%-ია, თანხობრივად კი გარღვევა 339,98 მილიონის ტოლია (იხ. ცხრილი 2).

ამ მონაცემებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ წლის ბოლომდე ასაკრეფი შემოსავლების მოცულობა 900 მილიონ ლარს აჭარბებს (ეს რიცხვი მოცემულია 9 თვის მონაცემებით, ანუ მასში არ არის ნაგულისხმევი ის 26 მილიონი ლარი, რომლითაც ბიუჯეტი ოქტომბერში გაიზარდა და მთლიანად საბაჟო დეპარტამენტიდან ასაკრეფი გადასახადების წილად დაიგეგმა. ამ ცვლილების ჩათვლით დასახარჯი თანხის ოდენობამ, შესაბამისად, 927 მილიონამდე მოიმატა), გასაწევი ხარჯების ოდენობა კი 1 მილიარდს აღემატება (ცხრილი 4).

ცხრილი 4

ხარჯები	წლიური გეგმა	წლის 9 თვის გეგმა	ხარჯი 30 სექტემბრის ჩათვლით	შესრულება წლიური გეგმის მიმართ %-ში	შესრულება წლის 9 თვის გეგმის მიმართ %-ში	IV კვარტალში შესასრულებელი
სულ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები *	2 826	2 238	1 770	62,63%	79,06%	1 056

ხარჯვითი ნაწილის ზრდის ტენდენცია კონკრეტულ მაჩვენებლებში ასე გამოიყურება: 2005 წლის 9 თვის განმავლობაში გაწეული ხარჯების (1 მილიარდ 769,62 მილიონი ლარი) მოცულობა 88%-ით აღემატება 2004 წლის ანალოგიურ პერიოდში (940,96 მილიონი ლარი) გაწეულს, 2003 წლის ხარჯებთან შედარებით (661,12 მილიონი ლარი) კი ზრდა 168%-ს შეადგენს. 2004 წლის მაჩვენებელი წინა წლისას 42%-ით აღემატება (დიაგრამა 3 და ცხრილი 5).

დიაგრამა 3



ცხრილი 5

2003	2004	2005
661,12	940,96	1 769,62
	42%	88%
		168%

2005 წლის 9 თვის განმავლობაში გაწეული ხარჯების უმეტესი წილი (50,09%) მიმართულია სუბსიდიებსა და მიმდინარე ტრანსფერებზე. სხვა მსხვილი გასავლებიდან აღსანიშნავია "სხვა საქონლისა და მომსახურების" მუხლით გაწეული ხარჯები, რომლის წილად ნაერთი ხარჯების 14,57% მოდის (თანხობრივ გამოსახულებაში 247,61 მილიონი ლარი). თუმცა, დეტალური ანალიზით ირკვევა, რომ ამ მუხლით გაწეული ხარჯების 63,62% (თანხობრივ გამოსახულებაში 157,54 მილიონი ლარი) მიმართულია ე.წ. "სხვა ხარჯებზე", რომლებიც, ტრადიციულად, გამჭვირვალობის ნაკლები ხარისხით ხასიათდება (ცხრილი 6).

ცხრილი 6

ხარჯები	9 თვის გეგმა	სულ ხარჯი	
შემოსავლებისადმი ერიცხა შრომის ანაზღაურება	216 270,9	178109,6	10,48%
ძირითადი კაპიტალის ინვესტიციები	51 458,7	38 765,3	2,28%
ოფლირებები	20 954,7	17 977,0	1,06%
სხვა საქონელი და მომსახურება	369 964,9	247615,2	14,57%
მათ შორის:			0,00%
ოფლები		11 874,2	0,70%
კომუნალური		24 841,3	1,46%
ყვების ხარჯები	17 984,3	11 417,4	0,67%
საბუღალტრო ხარჯები		8 641,0	0,51%
ბრძოლა ინფექციური და უნიფორმა		6 378,1	0,38%
ტრანსპორტისა და ტელეფონის მეხარჯი		26 922,6	1,58%
საგუნალური პროგრამების მომსახურება		0,0	0,00%
სხვა ხარჯები		157540,8	9,27%
პროცენტების გადახდა	92 245,1	84 529,6	4,97%
სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერები	1041568,0	851127,2	50,09%
კაპიტალური ხარჯები	264 095,7	168167,0	9,90%
დაბრუნებული დაფინანსების გამოკლებით	189 913,2	112997,9	6,65%
სულ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები *	**2246423,2**	**1699288,9**	**100,00%**

დიაგრამა 4



დიაგრამა 5

სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის ხარჯების პროგნოზი და რეალური შესრულების მაჩვენებლები მიუთითებს, რომ წლის სამივე განვლილ კვარტალში ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებელი არ შესრულებულა (დიაგრამა 6).

გადასახადების სახეების მიხედვით გასული 9 თვის განმავლობაში ბიუჯეტში შემდეგი მოცულობის თანხებია მობილიზებული:

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) სახით სახელმწიფო ბიუჯეტში შესულია 682,45 მილიონი ლარი, რაც მთლიანი გადასახადების 53,8%-ს შეადგენს და წინა წლის მაჩვენებელს 14,3%-ით აღემატება.

აქედან საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან მობილიზებულია 260,24 მილიონი, იმპორტირებული პროდუქციიდან კი - 422,21 მილიონი ლარი (აქედან დახლოებით მეოთხედი აქციზურ პროდუქციაზე).

ადგილობრივი პროდუქციიდან ყველაზე დიდი ოდენობის დღგ დარიცხულია საავტომობილო ბენზინზე (7,3 მილიონი), ფილტრიან სიგარეტზე (7,0 მილიონი) და ლუდზე (4,3 მილიონი).

იმპორტირებული პროდუქციიდან დღგ-ს ყველაზე მსხვილი გადამხდელია ნავთობპროდუქტების სეგმენტი (საავტომობილო ბენზინი - 52,3 მილიონი ლარი, დიზელი - 26,1 მილიონი, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები 12,9 მილიონი), რომელსაც მოსდევს კვების მზა პროდუქტები (39,5 მილიონი), ელექტრული მანქანა-მოწყობილობები (32,1 მილიონი), არაძვირფასი ლითონები და მათი ნაკეთობები (21,4 მილიონი) და სატრანსპორტო საშუალებები (20,4 მილიონი).

აქციზის გადასახადიდან ბიუჯეტში მობილიზებულია 199,6 მილიონი ლარი, რაც მთლიანი გადასახადების 15,7%-ია, წინა წელთან შედარებით კი 6,4%-ით არის გაზრდილი.

აქედან საქართველოში წარმოებული პროდუქციის დაბეგვრიდან ბიუჯეტში შესულია 48,9 მილიონი ლარი. ყველაზე მეტი მოცულობის თანხა მობილიზებულია სიგარეტის წარმოებიდან. საყურადღებოა, რომ ამ სეგმენტზე წარმოებულ უფილტრო სიგარეტზე დარიცხული აქციზის ოდენობა 40%-ზე მეტით აღემატება ფილტრიანზე დარიცხულ აქციზს (შესაბამისად, უფილტროზე 18 და ფილტრიანზე 12,8 მილიონი ლარი).

შემდეგ პოზიციას იკავებს ალკოჰოლური წარმოება: 9 თვის განმავლობაში ლუდზე



დარიცხული აქციზის მოცულობა 8,7 მილიონ ლარს შეადგენს, არაყზე კი - 3,7 მილიონს.

იმპორტირებულ პროდუქციაზე დარიცხული აქციზის (საერთო რაოდენობა - 150,7 მილიონი ლარი) მხრივ ლიდერი პროდუქტების ნუსხა ასე გამოიყურება: ბენზინი - 58,7 მილიონი ლარი, მსუბუქი ავტომობილები - 28,3 მილიონი, ფილტრიანი სიგარეტი - 23 მილიონი, დიზელის საწვავი - 19 მილიონი.

საბაჟო გადასახადიდან ბიუჯეტში შესული თანხის მოცულობა 86,4 მილიონ ლარს შეადგენს (ხვედრითი წილი საერთო გადასახადებში 6,8%, ზრდა გასულ წელთან შედარებით 0,8%).

აქედან ყველაზე მეტი თანხა (13,8 მილიონი ლარი) კვების მზა პროდუქტების, უპირველესად, ფქვილისა (5,2 მილიონი) და შაქრის (3,6 მილიონი) დაბეგვრიდან არის მიღებული. ცალკე აღებული ერთეულის სახით ყველაზე მეტი მოცულობის თანხა (5,4 მილიონი ლარი) იარაღსა და საბრძოლო მასალებზე დარიცხული საბაჟო გადასახადის სახით არის გადახდილი.

არასაგადასახადო შემოსავლების სახით ბიუჯეტმა 9 თვის განმავლობაში 215,9 ლარი მიიღო.

აქედან ყველაზე მსხვილ მუხლად ირიცხება "სხვა არაკლასიფიცირებული არასაგადასახადო შემოსავლები, გადახდევინებული ცენტრალური დაქვემდებარების ორგანიზაციების მიერ" 83 მილიონი ლარის მოცულობით. ამ მუხლში, სავარაუდოდ, იგულისხმება ყოფილი მაღალჩინოსნების მიერ გადახდილი თანხები.

კიდევ ერთი მსხვილი პუნქტია შემოსავლები ეროვნული ბანკის მოგებიდან (40 მილიონი ლარი) და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მიღებული დივიდენდებიდან (16,9 მილიონი ლარი), სულ - 57 მილიონი.

სოლიდური თანხებია მობილიზებული მოსაკრებლებიდანაც (სახეობების მიხედვით): საკონსულო მოსაკრებელი - 14,8 მილიონი ლარი, საბაჟო მოსაკრებელი - 13,5 მილიონი, სალიცენზიო მოსაკრებელი - 11 მილიონი, მოსაკრებელი კავშირგაბმულობის და ფისტის სფეროში საქმიანობის ლიცენზირებიდან - 9,3 მილიონი, სარეგისტრაციო მოსაკრებლები - 6,1 მილიონი.

რაც შეეხება შემოსავლებს ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან, ამ წყაროდან 9 თვეში ბიუჯეტმა 273,1 მილიონი ლარი მიიღო. აქედან შენობა ნაგებობების გაყიდვიდან სულ 11,7 მილონი ლარია მობილიზებული. ე.წ. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან კი 261,3 მილიონ ლარს შეადგენს, რაც ძირითადად მსხვილ საპრივატიზებო გარიგებებზე მოდის.

საგადასახადო შემოსავლების სახეების მიხედვით ბიუჯეტში მობილიზებული თანხების მოცულობა ასახულია მ-7 ცხრილში.

ცხრილი 7

შემოსავლების სახეები	2005 სახელმწიფო ბიუჯეტი	ხვედრითი წილი მთლიან გადასახადებში	2004 სახელმწიფო ბიუჯეტი	ხვედრითი წილი მთლიან გადასახადებში	ცვლილება
საგადასახადო შემოსავლები *	**1 269 275 713**		**1 129 458 108**		
[illegible]	-769	0,0%	8 809 465	0,7%	-0,7%
[illegible]	-34	0,0%	6 138 829	0,5%	-0,5%
დამატებული ღირებულების გადასახადი	682 449 394	53,8%	501 381 724	39,5%	14,3%
აქციზი	199 551 726	15,7%	117 925 294	9,3%	6,4%
საბაჟო გადასახადი	86 365 468	6,8%	76 407 719	6,0%	0,8%
[illegible]	0	0,0%	0	0,0%	0,0%
[illegible]	0	0,0%	0	0,0%	0,0%
[illegible]	0	0,0%	0	0,0%	0,0%
[illegible]	0	0,0%	0	0,0%	0,0%
ფიქსირებული გადასახადი	18 270	0,0%	445 093	0,0%	0,0%
მცირე ბიზნესის გადასახადი	92 862	0,0%	642 021	0,1%	0,0%
[illegible]	0	0,0%	0	0,0%	0,0%
საიერარტო გადასახადი	0	0,0%	0	0,0%	0,0%
სასტუმროს გადასახადი	0	0,0%	0	0,0%	0,0%
[illegible]	0	0,0%	0	0,0%	0,0%
[illegible]	0	0,0%	0	0,0%	0,0%
[illegible]	0	0,0%	0	0,0%	0,0%
[illegible]	744 982	0,1%	19 385 364	1,5%	-1,5%
[illegible]	10 440 951	0,8%	30 799 304	2,4%	-1,6%
[illegible]	124 521	0,0%	93 681	0,0%	0,0%
[illegible]	52 667	0,0%	367 090	0,0%	0,0%
[illegible]	281 072 306	22,1%	320 518 195	25,3%	-3,1%
[illegible]	8 363 369	0,7%	46 544 326	3,7%	-3,0%

* სიაში არის 0 ის გადასახადები მოცულობებსა ტერიტორიული გადასახადებს

2005 წლის განვლილი 9 თვის განმავლობაში გამოკვეთილი ტენდენციები მიუთითებს:

როგორც წინა წლებში, წლეულსაც ბიუჯეტის დაგეგმვა არ ხდება მეტ-ნაკლებად თანაზომიერი ფორმატით. წლის უმეტესი თვეების გეგმა რეალურზე გაცილებით ნაკლებია, რაც გეგმის გარანტირებულად გადაჭარბებით შესრულების წინაპირობას ქმნის. კვარტლის მონაცემების კორექტირებისას კი ხდება დანაკლისის დაფიქსირება, რაც პროგნოზისა და რეალური შემოსავლების გაწონასწორებას უწყობს ხელს.

საგადასახადო შემოსავლების შეუქცევადი მატების მიუხედავად, ხარჯვითი პოლიტიკა არ არის მისი მეტ-ნაკლებად ადექვატური. ამ ფაქტორმა შედეგად გამოიწვია ის, რომ 9 თვის დაგეგმილი ხარჯები სრულყოფილად არ არის გაწეული და მათი დაფარვა წლის ბოლო პერიოდში უნდა მოხდეს.

როგორც შემოსავლების მობილიზების, ასევე ხარჯების გაწევის თვალსაზრისით ძირითადი ტვირთი კვლავაც მოვა მეოთხე კვარტლის წილად. ოქტომბერ-დეკემბრის განმავლობაში ბიუჯეტმა უნდა მიიღოს 900 მილიონზე მეტი, გასაწევი ხარჯების მოცულობა კი 1 მილიარდ ლარს აჭარბებს. დროის ასეთ შეზღუდულ მონაკვეთში ბაზარზე ამხელა თანხის გაშვება შესაძლოა გარკვეულწილად ინფლაციური პროცესების წამახალისებელი აღმოჩნდეს.

უკვე გაწეული ხარჯების სოლიდური ნაწილი (დაახლოებით 10%) მოდის ე.წ. "სხვა ხარჯების" კატეგორიაზე, რომელიც ძალიან გაუმჭვირვალეა და, ტრადიციულად, კორუფციის საკმაოდ მაღალი ალბათობის შემცველია.

ბიუჯეტში ბოლოს შეტანილი ცვლილება, რომლითაც შემოსავლების გეგმა კიდევ 26 მილიონი ლარით გაიზარდა, გეგმას უზრდის მხოლოდ საბაჟო დეპარტამენტს და, ძირითადად, იმპორტირებული პროდუქციის დღგ-თი მობილიზებული თანხებით ბიუჯეტის შევსების იმედზეა დამყარებული.

მთავრობის გაცხადებული პრიორიტეტით, ბიუჯეტის რამდენიმეჯერადი ზრდის ერთ-ერთი ძირითადი უზრუნველმყოფი კაპიტალური შემოსავლების საგრძნობი ზრდა (ძირითადად, მსხვილი პრივატიზების ხარჯზე) უნდა ყოფილიყო. მაგრამ ჩავარდნილი, დროში გაჭიანურებული ან გადადებული საპრივატიზებო გარიგებების გამო შესაძლოა საფრთხე დაემუქროს როგორც კაპიტალური შემოსავლების, ასევე მთლიანად საბიუჯეტო შემოსავლების გეგმას.

ბიუჯეტის შევსების ძირითად წყაროდ კვლავაც რჩება დამატებული ღირებულების გადასახადი, რომლის წილიც საერთო გადასახადების მოცულობაში შეუქცევადად იზრდება (შარშანდელთან შედარებით 14%) და მის ზრდაზე გავლენა არ მოუხდენია არც იმ ფაქტორს, რომ 1 ივლისიდან მისი განაკვეთი 2%-ით შემცირდა.

ᲕᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ

ნოდარ ლადარია



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ბავშვობიდან ვერ ვიტან შვიდ ნოემბერს. არა, იმას ვერ ვიტყვი, რომ ადრეული ასაკიდანვე გამსჭვალული ვიყავი ტოტალიტარული რეჟიმის მიმართ სიძულვილით — ამით ნურავინ დაიკვეხნის და ნურც ნურავის მოსთხოვენ — უბრალოდ, დილით ადრე ადგომა და მერე სუსხიან ჰაერში ან სულაც წვიმის ქვეშ საათობით ყურყუტი და თხუთმეტ ან ოც წუთში ერთხელ რამდენიმე მეტრით წინ წაწევა...

რისთვის გავიხსენე? აკი ამდენჯერ მითქვამს, რომ ეს გამოცდილება სრულიად უარყოფითი და გამოუსადეგარია ჩვენს სინამდვილეში — სხვა სიტყვებით, დაბრკოლების გარდა არაფერს წარმოადგენს. თუმცა გახსენებას მაინც აქვს ერთგვარი გამართლება, თუნდაც იმიტომ, რომ იმ დროის კიდევ ერთი ავი მემკვიდრეობა მოვიშოროთ: ჩვენი განწყობები და შეხედულებებიც კი იშვიათად გამომდინარეობს გარშემო სინამდვილის ღრმა ანალიზიდან — უფრო ხშირად მათ საფუძვლად ზედაპირული პირადი შეგრძნებები უდევს. აბა, წავიკითხოთ, რას მოუთხრობს 4 ნოემბრის ნომერში **მაია ჭალაგანიძეს** თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, **გივი თარგამაძე**.

როგორც გამოცდილ მკითხველებს შეეფერებათ, ბოლოდან დავიწყოთ. კითხვას — **ძალაუფლების ხიბლის შესახებ რას იტყვით?** — რესპონდენტი ერთობ მოხერხებულად არიდებს თავს. აქ ნამდვილი მრავალსვლიანი კომბინაცია გვაქვს, მერე რა, რომ სვლათა რაოდენობა ორის ტოლია. პასუხი იწყება კონკრეტული ბანალობით: "**ადამიანურად თუ შეხედავ, არანაირი ხიბლი არა აქვს, რადგან ოჯახისთვის დრო არ გაქვს**". რატომ არის ძალაუფლებისკენ სწრაფვა ნაკლებად ადამიანური ოჯახურ საზრუნავზე? ბოლოს და ბოლოს, ოჯახზე ლომებიც ზრუნავენ და ბეღურებიც, ძალაუფლებისკენ კი მხოლოდ ადამიანები მიისწრაფვიან. მაგრამ აქ საქმე გვაქვს ყოფით პოპულიზმთან, რომელიც ერთ ბანალურ გამოთქმაში გამოიხატება: *ჩვეულებრივი ადამიანური ბედნიერება*. ერთი სიტყვით, გივი თარგამაძე გვარწმუნებს: ძალაუფლება აუცილებელი ბოროტებაა, მაგრამ არა მარტო თქვენთვის, არამედ ჩვენთვისაც — ჩვენ თავი გავწირეთ, ზურგი ვაქციეთ ყოველგვარ ამქვეყნიურ სიამეს, რომ თქვენ იყოთ კარგად. ეს თვალსაზრისი მაშინვე მყარდება უკვე არა კონკრეტული, არამედ გაზოგადებული ბანალობით: "**მეორე მხრივ, ხიბლი ის არის, რომ ამ ქვეყნისთვის რაღაცის გაკეთება შეგიძლია და აუცილებლად გავაკეთებთ კიდეც**". ეს უკვე საკუთარი განზრახვების, გრძნობებისა და განწყობებისაგან ისეთი დისტანცირებაა, როცა ადამიანი საკუთარ თავს ისტორიულ პერსპექტივაში წარმოადგენს...

იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ აქ კიდევ ერთი "ხალხის მტერი" ხელისუფალის მხილებითა ვარ გართული? სულაც არა, — აბა, რა გამოვიდოდა, გივი თარგამაძეს ანგელოზური სიალალით ეთქვა: რა თქმა უნდა, მომხიბლავია, როცა მრავალ ადამიანზე მაღლა დგახარ და შენი ერთი ხელმოწერა მათ ბედ-იღბალს განაგებსო. ივარგებდა ამგვარი ადამიანი იმად, რომ მისთვის ჩვენი ბედ-იღბალი ჩაგვებარებინა? არა, ბატონებო, გულწრფელობა ძალიან მცირე რამაა, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით უფრო მცირე, ვიდრე, ჩვეულებრივ, ჰგონიათ ხოლმე. უფრო მეტსაც გეტყვით: ის, რაც ჩვენს უშიშროებაზე მზრუნველის ინტერვიუს აგვირგვინებს, კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენებს, რომ ეს კაცი არა მარტო შესანიშნავად ფლობს რიტორიკას, არამედ რიტორიკის თავის სასარგებლოდ გამოყენებაც შეუძლია: "**როდესაც ბევრი წელი გავა, აღარ ილაპარაკებენ, იპოდრომის წილში ვიყავი თუ კიდევ სხვა წილში. ჩემთვის მთავარი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ქვეყნის გამთლიანებაა და ამას შევძლებთ**". აქ, როგორც ვხედავთ, მოგვიწოდებენ, რომ დიადი სიკეთის შუქმა თვალი მოგვჭრას და მცირე ბოროტება არ დავინახოთ. ნუ გამოვეკიდებით ამის მთქმელს, მით უმეტეს, რომ საბუთები ხელთ არა გვაქვს. დავამტკიცეთ, რომ კაცმა ლაპარაკიც იცის და ისიც, რომელ მდგომარეობას რომელი სტილი შეეფერება. და მაინც...

როცა გივი თარგამაძე რუსეთის მიერ საქართველოში "მეხუთე კოლონის" ორგანიზაციაზე საუბრობს, შემდეგნაირად გვამშვიდებს: "**ვფიქრობ, რუსეთის ხელისუფლების მიერ დამტკიცებული ამგვარი გეგმა რომც არსებობდეს, ამის ფიზიკურად განხორციელება მოშლილი ჩინოვნიკური აპარატის გამო გაუჭირდებათ**". აგაშენა ღმერთმა! მით უმეტეს, ჩვენ პატარა ხალხი ვართ და არც იმის საბუთები გაგვაჩნია, მართლა მოშლილია რუსების ჩინოვნიკური აპარატი თუ არა. მაგრამ ერთი დასკვნა კი უნდა გამოვიტანოთ: რამე რომ გამოგვიდეს ქვეყნის გარეთ ან შიგნით, აუცილებელია ჩინოვნიკური აპარატი. ამას გვასწავლის გივი თარგამაძე, თორემ ხომ არ დაგვამშვიდებდა, არხეინად იყავით, რუსებს ჩინოვნიკური აპარატი არა აქვთო. საჭირო და სასარგებლო რამ ყოფილა ეს ჩინოვნიკური აპარატი!

მაგრამ ოდნავ მოგვიანებით ჩვენს რესპონდენტს ახსენებენ, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ მინისტრების "დამოძღვრა" და საზოგადოებასთან კონტაქტის დაყვანა მობილურ ტელეფონზე პასუხამდე მართლაც შარჟის ღირსია (ეს შარჟი **ნინია კაკაბაძემ** მოგვაწოდა გაზეთის იმავე ნომერში) და ჩვენი რესპონდენტიც თავდავიწყებით გადაეფარება პრეზიდენტის რეპუტაციას. აქაც ორი მომენტია გასათვალისწინებელი:

1) თურმე პრეზიდენტის საჯაროდ წარმოთქმული სიტყვები "**არ არის პირდაპირი მნიშვნელობით გასაგები. მესიჯი არის უფრო მეტი ურთიერთობის აუცილებლობა**". ჰა, თურმე მინისტრებისა არ იყოს, ჩვენი გულიც "განზრქა" და პირდაპირი მნიშვნელობით არაფერი გვესმის, ჩვენს პრეზიდენტს კი თავი იესო ქრისტე ჰგონია და ყოველი სატელევიზიო გამოსვლისთვის ახალ-ახალ იგავებს იგონებს, თითქოს ეს მთასა ზედა ქადაგება იყოს. არა, ბატონო, ჩვენი პრეზიდენტი ქრისტე ღმერთი კი არა, სააკაშვილია.

2) ხომ გახსოვთ, რას გვეუბნებოდა გივი თარგამაძე ჩინოვნიკური აპარატის შესახებ, აქაოდა, რუსები იმიტომ არიან უძლურები, რომ ეგ აპარატი აქვთო მოშლილი? ახლა კი რას გვეუბნება? — თურმე სააკაშვილის "**ეს განცხადება ჩინოვნიკური მექანიზმების მოშლას გულისხმობდა**". ჰა, თუ ასე კარგია ეგ ჩინოვნიკური აპარატი თუ მექანიზმი, ჩვენი პრეზიდენტი საკუთარი ხელით რატომ ცდილობს მის მოშლას?

ალბათ ყველაფერი უფრო კარგად იქნებოდა, გივი თარგამაძეს რომ ეთქვა, საზოგადოებასთან კონტაქტის გაფართოებას გულისხმობდაო, მაგრამ ვერ იტყოდა: საკუთარ თავს ხომ ვერ გამოიყვანდა სულელად! კაცს თანამდებობამ ოჯახთან ურთიერთობა შეუზღუდა და ახლა ესეც მოსთხოვეთ! ერთი სიტყვით, სააკაშვილის იმპულსური ნაბიჯები უკვე იმდენად მოულოდნელი და ექსტრავაგანტულია, რომ მათი გამართლება პრეზიდენტის გუნდის საუკეთესო წარმომადგენლებსაც უჭირთ იმის გარეშე, რომ საკუთარ თავს არ შეეწინააღმდეგონ.

თუმცა ერთი წინააღმდეგობა კიდევ აღმოჩნდა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ინტერვიუში. ჯერ გივი თარგამაძე აღიარებს, რომ "**რუსებს სხვადასხვა ასაკის საკმაოდ ბევრი აგნტი ჰყავთ**". ოღონდ ხელისუფლებაზე ვერაფერს გვეუბნება, ოპოზიციაზე კი შეუძლია გვითხრას, რომ "წინ საქართველო" ამის აშკარა მაგალითია. ამას ბუნებრივად მოსდევს შეკითხვა, ხომ არა ჰყავს რუსეთს საქართველოში ფარული ორგანიზაციები. პასუხი გვაკვირვებს: "**ვთვლი, რომ დაფარული ორგანიზაციები არ არიან. ძალიან კარგად მუშაობს კონტრდაზვერვის სამსახური ... სიტუაციას მაქსიმალურად ვაკონტროლებთ**". დასკვნა მართლაც საოცარია: კონტრდაზვერვა წარმატებით ებრძვის არარსებულ ფარულ ორგანიზაციებს და ვერაფერი გაუწყვია ლეგალური ორგანიზაციების დესტრუქციულ საქმიანობასთან. ესაა კარგი მუშაობა? სხვა სიტყვებით, გივი თარგამაძე თავისი პირით აღიარებს: ხან ჩვენ ვართ ქვევით და ხანაც — ისინი ზევითო.

მაგრამ არის ერთგვარი ირიბი საბუთი, რომლითაც შეგვიძლია გავარკვიოთ ჩვენი კონტრდაზვერვის მუშაობის ხარისხი.

შორს წასვლა არ დაგვჭირდება: იმავე 4 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა კიევის საპატრიარქოს მღვდელმსახურის, მამა **ნიკოლოზ ინასარიძის** ინტერვიუ. მოკლედ რომ გადმოვცეთ, საქმე შემდეგნაირადაა: უკრაინელ ერს, ისევე როგორც თავის დროზე ქართველებს, პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან ერთად სურს სულიერი დამოუკიდებლობაც, ანუ უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია. ამით მართლმადიდებელი სამყარო მხოლოდ გაძლიერდება სულიერად. მაგრამ არსებობს კიდევ ორი ფაქტორი:

1) **მატერიალური**: უკრაინის მართლმადიდებლები რაოდენობრივად რუსეთის მართლმადიდებლებს უტოლდებიან, ასე რომ მოსკოვის საპატრიარქო გვარიან ლუკმას კარგავს.

2) **პოლიტიკური**: შემცირდება რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის და მასთან ერთად რუსული სპეცსამსახურების პოლიტიკური გავლენა ქრისტიანულ სამყაროზე და მასთან ერთად მთელ მსოფლიოზე.

საქართველოს ეძლევა უნიკალური შანსი, არსებითი მონაწილეობა მიიღოს ამ მეტად საშურ საქმეში. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენს ქვეყანაში ამის შეგრძნება არ არსებობს: წინააღმდეგ შემთხვევაში კიევის იურისდიქციის საჭეთმპყრობელის, პატრიარქ **ფილარეტ დენისენკოს** აღსაყდრების ათი წლისთავზე ასეთი წარმომადგენლობითი ქართული დელეგაცია არ ჩავიდოდა. მაგრამ ამასთან ერთად თბილისის ეკლესიის მრევლიდან მეტად საგანგაშო ხმებიც შეიძლება გავიგონოთ: ჩვენი სამღვდელოება ამბიონიდან გმობს და უკანონოს უწოდებს უკრაინელი ერის მისწრაფებას, რადგან, მათი აზრით, კანონიერი მხოლოდ რუსეთის ჩექმის ქვეშ ყოფნაა. უფრო მეტიც, ჩვენი მოძღვრები მოუწოდებენ, ვისაც კიევში ახლობლები გყავთ, გადაეცით, ახლოს არ მიეკარონ მამა ნიკოლოზს და მხოლოდ მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციის ტაძრებში ილოცონო.

რა დასკვნა შეიძლება გამოიტანოს აქედან ჩვენმა კარგად მომუშავე კონტრდაზვერვამ? როგორც ეტყობა, ვერც ვერაფერს დაასკვნიან. ანალიზური (ან როგორც ყველა ამბობს, ანალიტიკური) აზროვნება, საერთოდ, უცხო ხილია ჩვენში. არა გჯერათ? თუ გნებავთ, ახლავე დაგიდებთ სანაძლეოს. ოღონდ, ახლავე გეტყვით, რომ ამ სანაძლეოს წაგება უფრო გამახარებდა...

ოღონდ ჯერ წინაისტორია: ათიოდე წლის წინათ, როცა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო **იცხაკ რაბინი**, ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში შეახვედრეს ებრაელები და პალესტინელები. ამის მსგავსად, წელს, 8-11 ოქტომბერს ნორვეგიის რელიგიურ ორგანიზაციათა კოალიციამ შეახვედრა ერთმანეთს საქართველოს საპატრიარქოსა და რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლები, იქნებ მორიგდნენო. იქ ჩვენმა მართლმადიდებელმა იერარქებმა მეჩეთიც მოინახულეს და ორმოცდაათიანელებთან ერთად ლოცვაშიც მიიღეს მონაწილეობა. ვიცით რამე ამის შესახებ? — არა!

ახლა კიდევ ერთი წინაისტორია, რომელიც სანაძლეოს ეხება: დღეს, 7 ნოემბერს სტამბულში იწყება ინტერრელიგიური კონფერენცია "მშვიდობისა და ტოლერანტობისთვის". ამ ფორუმის ინიციატორები არიან მსოფლიო პატრიარქი უწმინდესი **ბართლომე** და ცნობილი ნიუ-იორკელი რაბინი **არტურ შნეერი**. კონფერენციაზე მიწვეულია უწმინდესი და უნეტარესი **ილია მეორეც**. საქართველოს დელეგაცია სამშობლოში ავტომობილით დაბრუნდება.

ახლა კი დაგენაძლევებით, რომ ამის შესახებ ჩვენი მედიით გავიგებთ მხოლოდ და მხოლოდ შემდეგს: "კათოლიკოს-პატრიარქი ავტომობილით ეწვია თურქეთს და მოილოცა უძველესი ქართული სიწმინდეები". ხომ გახსოვთ, "სამხრეთ კორეული თვითმფრინავი გამოვიდა საბჭოთა რადარების დაფარვის ზონიდან". არა, ვერაფრით მივმხდარვართ, რომ ყველაზე ეფექტური კონტრდაზვერვა რაც შეიძლება ფართო საზოგადოების ზუსტი ინფორმირებაა.

ამას რომ თავის დროზე მივმხდარიყავით, არ მოგვიწევდა იმ სირცხვილის ჭამა, რომლის შესახებ **ნინო გომართელმა** გვაუწყა 31 ოქტომბრის ნომერში. ქართული ხელოვნების თავის დროზე ჩაშლილი გამოფენის გამო საქართველოს სახელმწიფოს 750.000 აშშ დოლარი ვალი ადევს **გრეგ გუროვის** ფონდის წინაშე. განა სამართლიანი არ იქნება, ამ თანხის შოვნა იმას დავაკისროთ, ვისი მიზეზითაც ჩაიშალა გამოფენა, მით უმეტეს, რომ გადასახდელი თანხა ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის აშენებაზე დახარჯული სახსრების ერთ პროცენტზე ნაკლებია.

ახალი, ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები
პროკრედიტ ბანკში 30 ნოემბრამდე!

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

გახსენით ვადიანი ანაბარი პროკრედიტ ბანკში და მიიღეთ ვიზა ჩიპ ჯერსიჯი საჩუქრად!

შემნახველი ანაბარი, ყველაზე ხელმისაწვდომი ანაბარი პროკრედიტ ბანკისგან!

- მიიღეთ ყველაზე მაღალი სარგებელი, ახლა უკვე 6% ნლიური აშშ დოლარში და 8% ლარში გახსნილ ანაბრებზე
- გაიტანეთ და შემოიტანეთ თანხა ნებისმიერ დროს
- დაიწყეთ შეგროვება 5 ლარიდან

ბოლო ვადა
30.11.05
ძალაშია

ვადიანი ანაბარი, ყველაზე მაღალი საპროცენტო სარგებელი!

- მიიღეთ 10% ნლიური დოლარში და 13,5% ლარში გახსნილ ანაბრებზე
- ვიზა ჩიპ ჯერსიჯი საჩუქრად ანაბრებზე 500 დოლარიდან!

პროკრედიტ ბანკი, ბანკი რომელსაც ენდობიან
მსოფლიოს სამ კონტინენტზე

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

კათოლიკოს-პატრიარქი სტამბულში მიემგზავრება

დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II სტამბულში მიემგზავრება. იგი მსოფლიო პატრიარქის, ბართლომეოს I-ის, ინიციატივით ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციას - "მშვიდობა და შემწყნარებლობა" - დაესწრება. სტამბულში გამართული შეხვედრაზე სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებიც არიან მიწვეულნი. კონფერენციაზე ასევე განიხილება საკითხი "დიალოგი სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში", რომელსაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გარდა, სომხეთისა და აზერბაიჯანის სულიერი ლიდერებიც დაესწრებიან. მსოფლიო პატრიარქის მიერ ორგანიზებულ კონფერენციას, რომელიც 7-9 ნოემბერს გაიმართება, მისასალმებელი წერილები აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა გაუგზავნეს. სტამბულიდან კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ტაო-კლარჯეთსა და ლაზეთში ჩავა, სადაც ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას შეხვდება და ქართულ ტაძრებს მოინახულებს. მისი უწმინდესობა საქართველოში 12 ნოემბერს დაბრუნდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

თბილისში წყლის ტარიფის შეცვლა არ იგეგმება

გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ დედაქალაქის მთავრობა თბილისში წყლის ტარიფის შეცვლაზე მუშაობს, თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქი სამსახურის ხელმძღვანელი ზვიად არჩვაძე არ ადასტურებს. მისი განცხადებით, თბილისის მთავრობა რეგულირებადი ტარიფების შემუშავების პრინციპებს განიხილავს, რადგან კანონში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ ცვლილებების შეტანის შემდეგ რეგულირებადი ტარიფების შემუშავების პოლიტიკის გადახედვა გახდა საჭირო. "ამ ტარიფებს შორის არის წყლის ტარიფიც. ამიტომაც ჩვენ შპს "თბილწყალკანალთან" ერთად ვმუშაობთ ტარიფის გამოანგარიშების ზოგადი პრინციპების საკითხებზე," - განაცხადა ზვიად არჩვაძემ. მისივე თქმით, ეს სამუშაო პროცესი დედაქალაქში ტარიფის ზრდას ან შემცირებას არანაირად არ უკავშირდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

"ახალ მემარჯვენეებს" კომპიუტერი მოპარეს

შაბათს, გვიან ღამით პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეების" დიდუბის რაიონული ოფისი გაქურდეს. წაღებულია კომპიუტერის პროცესორი.

"ახალი მემარჯვენეების" დიდუბის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის კახა ღლონტის განცხადებით, ოფისის თანამშრომლებმა, ჩვეულებისამებრ, საღამოს 8 საათზე დაასრულეს სამუშაო დღე და ოფისი დაკეტეს.

"მძარცველებმა კარი გატეხეს და შენობაში ისე შეაღწიეს, ოფისი დარბეული არ არის. ვფიქრობ, ქურდობას კონკრეტული მიზანი ჰქონდა. კერძოდ, მოეპარათ ის ინფორმაცია, რომელიც კომპიუტერში ინახებოდა", - აცხადებს კახა ღლონტი. ამგვარი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს ახალ მემარჯვენეებს ის ფაქტი აძლევთ, რომ მძარცველებს კომპიუტერის გარდა ხელი არაფრისთვის უხლიათ. თუმცა, საჯარო განცხადებები ოფისში სხვა ძვირფასი ნივთების არსებობის შესახებ არ გაკეთებულა.

გუშინ "ახალი მემარჯვენეების" დიდუბის რაიონული ორგანიზაციის ოფისში მთელი დღის მანძილზე სამართალდამცავები საგამოძიებო მოქმედებებს აწარმოებდნენ. **24 საათი**

ეროვნული ჩემპიონატი

"სიონმა" მწვრთნელი გადაარჩინა

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-12 ტურმა განსაკუთრებული სენსაციების გარეშე ჩაიარა. ყველა ნომინალურმა ფავორიტმა გაიმარჯვა. ზოგს ამისთვის მძიმე ბრძოლის გადატანა დასჭირდა, ზოგმა შედარებით იოლად მიაღწია წარმატებას, თუმცა, მთავარი შედეგი ერთია - ფავორიტებმა მორიგი ქულები მიითვალეს, საჩემპიონო რბოლა კი ჩვეულ რიტმში გრძელდება.

ტურის ცენტრალური მატჩი ბოლნისში გაიმართა. ადგილობრივმა "სიონმა", რომლის მონინავე პოზიციებზე ყოფნა ბევრისთვის მოულოდნელობაა, დებიუტანტს, თუმცა, უმაღლეს ლიგაშიც გამარჯვებებს შეჩვეულ "ბორჯომს" უმასპინძლა. მატჩს საინტერესო წინაისტორია ჰქონდა. კერძოდ, არცთუ უსაფუძვლოდ, დაირხა ხმა, რომ მარცხის შემთხვევაში "სიონის" წარმატებების მთავარი შემოქმედი, ახალგაზრდა მწვრთნელი ხვიჩა ქასრაშვილი თანამდებობას დატოვებდა. ეს კი, დამეთანხმება ქართული ფეხბურთის სამზარეულოში ჩახედულთა უმეტესობა, კლუბის ხელმძღვანელობის მხრიდან აშკარა უმადურობა იქნებოდა. ქასრაშვილმა უმნირესი რესურსებიდან (როგორც ფინანსური, ისე ფეხბურთელების კონტინგენტის თვალსაზრისით) უმოკლეს დროში მობილური, ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩამოაყალიბა. ის, რომ "სიონმა" სასტარტო რვა ტურიდან შვიდში გაიმარჯვა და მხოლოდ ერთი მატჩი დაასრულა ფრედ, სწორედ ქასრაშვილის დამსახურებაა. თუმცა, როგორც არაერთხელ დადასტურებულა, საქართველოში არ უყვართ, როცა ვინმე თავისი ნიჭით სხვებისგან გამოირჩევა - მაშინვე ამ "ვისკაჩკის" წინააღმდეგ ბრძოლა იწყება. სწორედ ბოლნისის "სიონს" აქვს ასეთი მწვრთნელის თავიდან მოცილების მწარე გამოცდილება, როდესაც მისმა შეფობამ დაკავებული თანამდებობიდან თემურ მახარაძე გაათავისუფლა და წარუმატებლობათა მორევში ჩაეფლო. შემდეგ მახარაძე დიდი ხვეწნით დააბრუნეს. ამ ნიჭიერმა მწვრთნელმა გუნდს ახალი სიცოცხლე შთაბერა - მაჩანჩალა "სიონი" ლამის ჩემპიონი გახადა, თუმცა, საჩემპიონო "ოქროს მატჩი" მისმა გუნდმა "ვიტ ჯორჯიასთან" დათმო.

ერთი სიტყვით, ქასრაშვილს შანსი დაუტოვეს და ეს შანსი "ბორჯომთან" სამი ქულის მოპოვება იყო. ეს სამი ქულა "სიონმა" უმძიმეს ბრძოლაში მოიპოვა. ნიშნადობლივია, რომ მატჩის ბედის გადამწყვეტი ერთადერთი გოლი, რომელიც ქასრაშვილისთვის ბედნიერ მე-13 წუთზე გავიდა, პირადად მისი აღსაზრდელის ჯაბა დვალის ანგარიშზეა. დვალი ქასრაშვილმა თბილისის "დინამო 2"-ში გამოზარდა. ერთხანს ის "დინამოს" ძირითად შემადგენლობაშიც თამაშობდა.

მატჩმა დაძაბულ და ნერვულ ატმოსფეროში ჩაიარა. მთავარმა არბიტრმა მასპინძლების ექვსი ფეხბურთელი გააფრთხილა, ხოლო სტუმართა ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე თორნიკე აფციაური უხეშობისთვის მოედნიდან გააძევა. მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე "სიონმა" კიდევ ერთი გოლი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა ჩიკვილაძის მხრიდან სტუმართა მეკარეზე თავდასხმა დააფიქსირა და გოლი არ ჩათვალა. თუმცა, დვალის მიერ გატანილი გოლიც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა და ქასრაშვილმა თანამდებობა შეინარჩუნა, თუმცა, რა ხნით, ამას ვერ გეტყვით.

ქულები დაკარგა ერთპიროვნულმა ლიდერმა თბილისის "ვიტ ჯორჯიამ", რომელიც ქუთაისს სტუმრობდა და ადგილობრივ "ტორპედოსთან" მატჩში ფრეს მიაღწია. მეტიც: მასპინძლები ორჯერ ამარცხებდნენ მეტოქეს, მაგრამ ვეტერინარებმა შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და ორჯერვე შეძლეს წონასწორობის აღდგენა. გოლები მასპინძელთა მხრიდან ფოფხაძემ (15`) და შალამბერიძემ (48`) გაიტანეს, ხოლო სტუმართაგან დათუნაიშვილმა (24`) და დიღმელაშვილმა (75`, პენ.) გამოიჩინეს თავი.

მოულოდნელად, საკმაოდ გაუჭირდა აუტსაიდერ "სპარტაკის" დამარცხება ლიდერთა ჯგუფში მყოფ "ამერს". შეხვედრის ბედის განმსაზღვრელი შედეგიანი დარტყმა ამერელმა სულიკო დავითაშვილმა 43-ე წუთზე შეასრულა და დებიუტანტს მორიგი სამი ქულა არგუნა.

უპრობლემოდ მოიგეს შეხვედრები თბილისის "დინამომ" და "ლოკომოტივმა". ცხადაძის გუნდმა გასვლით მატჩში გორის "დილა" დაამარცხა - 2:0. ორივე გოლი

ბობოხიძემ გორელებს მეორე გოლი გაუტანა.

დროის სამწუთიან მონაკვეთში გავიდა: ანგარიში იმედაძემ 69-ე წუთზე გახსნა, რასაც 72-ე წუთზე ბობოხიძის გოლი მოჰყვა. ეს "დინამოს" ზედიზედ მეხუთე გამარჯვებაა. ჩემპიონატის მთავარი ფავორიტი მჭიდროდ მიუახლოვდა დაწინაურებულ სამეულს - "ვიტ ჯორჯია" ოთხი ქულითღა უსწრებს "დინამოს". რაც შეეხება "ლოკომოტივს", აკობიას გუნდმა "ცხინვალს" უმასპინძლა და 3:0 დაამარცხა. ამ მატჩში "დუბლი" შეასრულა ქებაძემ, რომელმაც შიდაქართლელებს 43-ე და 76-ე წუთებზე გაუტანა გოლები. მესამე გოლი ფურთუხიას ანგარიშზეა.

მე-12 ტური

ამერი - სპარტაკი	1:0
სიონი - ბორჯომი	1:0
ტორპედო - ვიტ ჯორჯია	2:2
დინამო (ბთ) - ზესტაფონი	2:2
კოლხეთი - თბილისი	2:1
დილა - დინამო (თბ)	0:2
ლოკომოტივი - ცხინვალი	3:0
დინამო (სხ) - კახეთი	2:0

მდგომარეობა 12 ტურის შემდეგ

ვიტ ჯორჯია	12	9	2	1	27-9	29
სიონი	12	9	1	2	23-10	28
ლოკომოტივი	12	8	3	1	18-3	27
დინამო (თბ)	12	8	1	3	18-6	25
ამერი	12	8	1	3	13-7	25
ბორჯომი	12	8	0	4	23-10	24
დინამო (ბთ)	12	6	2	4	13-9	20
კოლხეთი	12	6	0	6	13-13	18
ზესტაფონი	12	5	3	4	10-11	18
კახეთი	12	5	0	7	12-18	15
დილა	12	5	0	7	15-14	15
დინამო (სხ)	12	3	1	8	11-27	10
ცხინვალი	12	3	1	8	7-21	10
ტორპედო	12	2	4	6	8-13	10
თბილისი	12	0	0	12	4-25	0

ფეხბურთი

რაული: "პრეზიდენტმა გვთხოვა, მეტი მოვიგოთ"

მადრიდის "რეალის" ფორვარდმა რაულ გონსალესმა კლუბის პრეზიდენტ ფლორენტინო პერესთან შეხვედრის შემდეგ ესპანურ გაზეთ "AS"-ს ინტერვიუ მისცა. ფეხბურთელები თავის პრეზიდენტს შეჰპირდნენ, რომ ყველა ღონეს იხმარენ ჯილდოების მოსაპოვებლად.

- რაზე ისაუბრეთ პრეზიდენტთან ვახშმის დროს?

- გუნდში არსებულ მდგომარეობაზე. ბევრი თემა განვიხილეთ, რომლის შინაარსიც შემდეგ ფეხბურთელებს გავუზიარეთ. მაგალითად, ის, რომ წლევანდელ სეზონში ჩვენ ერთ ტიტულზე მეტი უნდა მოვიგოთ. თუმცა, პირველ ყოვლისა, იმაზე ვიმსჯელეთ, რომ ერთმანეთთან შეკავშირება და შემდეგ ამ ჯილდოების მოგება გვმართებს.

- პრემიალურებზეც ისაუბრეთ?

- დიახ. გასულ სეზონთან შედარებით ცვლილება არ მოხდება. ასე რომ, ვალდებული ვართ, ახლა მხოლოდ ჯილდოების მოგებაზე მოვახდინოთ კონცენტრაცია.

- საუბრის დროს იმ ჩავარდნაზე გაამახვილეთ ყურადღება, რომელიც გუნდს ჰქონდა?

- ჩვენ ჩვენთვის გავარკვიეთ, რომ "რეალს" აღარა აქვს უფლება ისეთ მდგომარეობაში წარდგეს მაყურებლის წინაშე, როგორც ლა კორუნიაში "რიაზორის" სტადიონზე გამოიყურებოდა, რადგან ის თამაში არავის არ მოეწონა. გასაგებია, რომ ხანდახან გუნდი წააგებს, მაგრამ არა ასე.

- რა გთხოვათ პრეზიდენტმა?

- რომ შევინარჩუნოთ ისეთივე მებრძოლი სული, როგორიც უკანასკნელ მატჩებში გვქონდა და რაც თანდათან პროგრესირების საშუალებას მოგვცემს. მას იმედი აქვს, რომ ჩვენ ერთ ტიტულზე მეტს მოვიგებთ. ასე რომ, შევეცდებით, ამისთვის ღირსეულად ვიბრძოლოთ. ვიცით, რომ ორი კვირის შემდეგ, როცა ტრავმირებული ფეხბურთელები მწყობრში ჩადგებიან, ჩვენ აბსოლუტურად სხვა გუნდს ვიხილავთ. თანაც, იმაზე უკეთესს, ვიდრე დღეს არის.

- თქვენ მას რამე სთხოვეთ?

- არაფერი. მე ვუთხარი, რომ ყველა ღონეს ვიხმართ ჩვენი გულშემატკივრის გასახარებლად.

- იმსჯელეთ თუ არა ზამთრის სატრანსფერო სეზონზე ახალ შენაძენთა შესაძლებლობაზე?

- ამ საკითხში ფეხბურთელები არ უნდა ერეოდნენ. ჩვენ, უბრალოდ, იმედი უნდა გამოვთქვათ, რომ ტრავმების გამო ამდენი დანაკარგი აღარ გვექნება. თუმცა, ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ის ფეხბურთელები, რომლებსაც მანამდე არც ისე ბევრი სათამაშო დრო ჰქონდათ, საუკეთესო კუთხით წარმოაჩინეს თავი.

- ფლორენტინომ გთხოვათ, განსაკუთრებით "ბარსელონას" წინააღმდეგ გამოიჩინოთ თავი?

- მან გვთხოვა, რაც შეიძლება მეტი მატჩი მოვიგოთ (იცინის).

- კატალონიელები გაშინებენ?

- ისინი უმაღლესი კლასის ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ დერბიში ამას დიდი მნიშვნელობა არ ექნება. ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ მათზე, რადგან ჯერ ადრეა ამაზე საუბარი. თან მე ძალიან მაინტერესებს ნაკრების გადამწყვეტი მატჩები მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად.

- უკვე გაირკვა იმ არბიტრის ვინაობა, რომელიც 19 ნოემბერს "სუპერკლასიკოს" განსჯის...

- ამაზე ცოტა უნდა ვილაპარაკოთ და მსაჯებზე ზეწოლას მოვერიდოთ. ასე მათ თამაშის განსჯა უფრო გაუადვილდებათ. მე მსაჯებს უაღრესად დიდ პატივს ვცემ, რადგან ხანდახან მინდორზე მეც მიმაჩნია, რომ მართალი ვარ, არბიტრი კი - არა. თუმცა, მერე, როცა ვიდეოჩანაწერს ვუყურებ, აღმოჩნდება, რომ მსაჯი მართალი ყოფილა. მსაჯებს მუშაობის საშუალება უნდა მივცეთ.

ქადრაქი

ბოლოდან მესამე

გიგა გურასაშვილი

ისრაელის ქალაქ ბეერ-შივაში მიმდინარე მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე მეხუთე ტურის მატჩები გაიმართა. გასულ უქმეებზე ჩვენი ქვეყნის ნაკრებს საშუალება ჰქონდა სატურნირო ცხრილის შუაგულისკენ წაეწია, მაგრამ ჩვენმა დიდოსტატებმა შაბათს ვერ დაამარცხეს ტურნირის უპირობო აუტსაიდერი ჩინეთის ქალთა გუნდი (2:2) და ეს შანსი დაკარგეს. კვირას კი საქართველოს ვაჟთა ნაკრები ჩინეთის გუნდს შეხვდა და გამანადგურებელი მარცხი იწვნია - 3,5:0,5. ამრიგად, ხუთი ტურის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ნაკრებს 6,5 ქულა აქვს და ბოლოდან მესამე, ანუ სატურნირო ცხრილში მეშვიდე ადგილზეა. ქართველები ნახევარი ქულით უსწრებენ კუბას და

საქართველოს ნაკრებმა ჩინეთის ქალთა გუნდს ვერ მოუგო.

ქულანახევრით - ჩინეთის ქალთა გუნდს. მომდევნო ტურში საქართველოს ნაკრები კუბას შეხვდება და გამარჯვების შემთხვევაში შანსი აქვს განიმტკიცოს მეშვიდე პოზიცია.

ლიდერის პოზიციაზე კი ჩინეთის ვაჟთა ნაკრები გადავიდა. მათ 13,5 ქულა აქვთ, რუსებს - 13. მომდევნო ადგილებზე მოდიან: ისრაელი - 10, სომხეთი - 9,5, უკრაინა - 9, აშშ - 7,5.

მეექვსე ტურში ჩინეთის ვაჟთა გუნდი უკრაინას შეხვდება, რუსეთი - სომხეთს, ხოლო აშშ - ჩინეთის ქალთა ნაკრებს. შეგახსენებთ, რომ ტურნირში ცხრა გუნდი მონაწილეობს. მათ შორის ასეთ შეჯიბრებაზე პირველად თამაშობს ჩინეთის ქალთა ნაკრები, რომელიც ტურნირში ევროპის ჩემპიონის - ჰოლანდიის ნაკრების უარის შემდეგ ჩაება.

120 წელი პროფესიულ სცენაზე

სოფო კილასონია

1999 წელს ამერიკელი პროდიუსერი ჯიმ ლო თბილისში ჩამოვიდა. ჯემალ ჭკუასელისა და მისი მეგობრების მასთან შეხვედრა ერთ-ერთ სუფრაზე შედგა და ყველაფერი აქედან დაიწყო. პროდიუსერი პირველ ნაბიჯებს დგამდა. პირველი განაცხადისთვის კი არჩევანი "ერისიონზე" შეაჩერა. ჯიმ ლომ თავიდანვე თქვა: "ვნახე დიდი მარგალიტი, რომელსაც სჭირდება შესაბამისი შეფუთვა, რათა იგი მთელ მსოფლიოს ვანახოო." თქვა და ასეც მოიქცა.

ჯემალ ჭკუასელის ოთახში არაერთი დიპლომისა და ოქროს დისკის გვერდით, ერთი მეტად საინტერესო ფოტოსურათი კიდია. მასზე ის ადამიანები არიან აღბეჭდილნი, რომლებმაც ქართული ხელხური სიმღერა სცენაზე პირველად აიტანეს. 26 მომღერალი მამაკაცის გვერდით გუნდის დამაარსებელი და მათი ლოტბარი, აღნიაშვილი და რატისლი ერთად არიან წარმოდგენილნი. ბატონი ჯემალ ჭკუასელი კი იმითაც ამაყობს, რომ ერთ-ერთი მათგანი და თანაც ყველაზე ახოვანი გვარად ჭკუასელი გახლდათ, მისი შორეული წინაპარი.

"ეს მართლაც უნიკალური ფოტოა. 1885 წელს გადაღებული სურათი. როგორც ცხონებულმა ვახტანგ ბერიძემ ივარაუდა, მომღერლები "ურიელ აკოსტას" დეკორაციის ფონზე უნდა იყვნენ წარმოდგენილნი. ამ ფოტოზე არიან აღნიაშვილის მიერ შეკრებილი პირველი გუნდის წევრები, ისინი 26 კაცს შეადგენდნენ. მათ დაიწყეს ქართული ხალხური სიმღერის შესწავლა სცენაზე ასატანად. ეს პირველი შემთხვევა იყო, თუმცა მთლად ასეც არაა, 1867 წელს ხარლაპი სავანელმა შექმნა ქართული ხალხური სიმღერების გუნდი, რომელმაც ექვსი თვე იარსება. შემდეგ ბატონმა აღნიაშვილმა შეკრიბა ეს გუნდი და ადგილი რომ არ ჰქონდათ, რატილის ბინაზე დაიწყეს მუშაობა. წარმოიდგინეთ, რომ არ აღმოჩნდა ქართველი ლოტბარი, რომელიც გუნდს გაწვრთნიდა. ამ უცხო კაცმა დიდი სამსახური გაუწია ქართულ კულტურას, ქართულ ხალხურ სიმღერასა და ცეკვას. 1889 წელს სწორედ რატისლის ინიციატივით მოხდა მოცეკვავეების შემოერთება ამ ანსამბლში. უნდა ითქვას, რომ ცალ-ცალკე ხელმძღვანელები არ ჰყოლიათ მომღერლებსა და მოცეკვავეებს. იყო გუნდი, რომელშიც ერთნიც და მეორენიც მოიაზრებოდნენ. მას კი ერთი ხელმძღვანელი ჰყავდა. ასე გაგრძელდა 1935 წლამდე. მაშინ გამოკვეთილი ქორეოგრაფი დავით ჯავრიშვილი იყო ამ ანსამბლში. შედეგ 30-იან წლებში ანსამბლი აღმოსავლეთ-დასავლეთ გუნდებადაც დაიყო, მაგრამ მოსკოვის დეკადისთვის მაინც შეერთდნენ და მას შემდეგ აღარც დაშლილან. ჩვენ ჩვენს თავს ვთვლით აღნიაშვილის გუნდის შთამომავლებად და არა მხოლოდ ჩვენს თავს, არამედ ყველა ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს."



ბაბო გელაშვილი. ფოტო

ჯემალ ჭკუასელი

ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლს "ერისიონი" რამდენიმე წლის წინ ჯემალ ჭკუასელის ინიციატივით დაერქვა. მას შემდეგ ამ გუნდმა სამი სანახაობა-წარმოდგენა შექმნა, რომლითაც თავი და საერთოდ ქართული ხალხური ხელოვნება მსოფლიო მასშტაბის არენაზე გაიტანა. მათი მიზნები და მთავარი გეზი ცხადი იყო და დღემდე ასეა, სახელმწიფო ანსამბლის შოუ-წარმოდგენები ძირითადად უცხოელი მაყურებლისთვის არის გათვლილი. საკონცერტო პროგრამაში მრავალი ისეთი დეტალი და საერთოდ მიდგომა გამოიკვეთა, რაც შესაძლოა, ქართული ფოლკლორული ხელოვნებისთვის აქამდე დამახასიათებელი არ ყოფილა. ასე თუ ისე, "ერისიონმა" ქართველებს მსჯელობა-კამათის საფუძველი მისცა, უცხოელებს კი სრული აღფრთოვანებისა და გაოგნებისა.

"მე ამ ანსამბლში როგორც მომღერალი 1976 წელს მოვედი. სხვათა შორის, ჩემმა მეგობრებმა მომიყვანეს, არ ვაპირებდი ამ საქმის გაყოლას. იმთავითვე გამიჩნდა პროტესტი, რომ არაფრით არ შეიძლებოდა ქართულ ცეკვას ჰქონოდა ასეთი სუსტი საცეკვაო მუსიკა. როცა ქუთაისის სახელმწიფო ანსამბლიდან, რომელსაც 6 წელი ვხელმძღვანელობდი, თბილისში გადმომიყვანეს, სულ ვფიქრობდი შემექნა ორკესტრი, რომელიც შეეფერებოდა დიდებულ ქართულ ცეკვას. ახალი მუსიკის დაწერა ბუნებრივია, რომ მკრეხელობაა, ჩვენ შევავსეთ ორკესტრი, შევავსეთ მისი არეალი და რესურსები მივეცით. საფრანგეთში არ უნდა ეთქვათ, რაც თავიდან ითქვა, - რატომ ასეთი ღარიბი საცეკვაო ორკესტრი! ჩვენ ისეთი ფანდურები შევქმენით, რომლებიც წყობას იჭერენ. ბასგიტარები შევიტანეთ, რომლებსაც დაბალი და მჟღერი ხმები აქვს, რაც ძალიან გვჭირდებოდა. მუსიკა ბევრად ტევადი გახდა. საერთოდ ჩვენ უნდა დავუგდოთ ყური თანამედროვე მოთხოვნებს.

გრანდიოზული, სანახაობრივი წარმოდგენების შექმნას მხოლოდ ნიჭი და მონდომება რომ არ ეყოფოდა, ფაქტია. ამას დასჭირდა დიდი თანხები, თუმცა ის, რომ სანახაობად უნდა გადაქცეულიყო ჩვენი ხელოვნება, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. როცა ვლაპარაკობთ ქართულ ხალხურ ფოლკლორზე და "ერისიონზე", უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ორი სხვადასხვა ცნებაა. ნამდვილი ქართული ფოლკლორი სცენაზე სხვანაირად ადის და ჩვენ რასაც ვაკეთებთ, მას სულ სხვა დატვირთვა აქვს. სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ვალდებულია, ქართული ხელოვნება გააცნოს მსოფლიოს. ის, რომ გაიმარჯვო დიდ ფესტივალებზე, რომ დაიმორჩილო დიდი დარბაზები, ფართო აუდიტორია, ამას შიშველი ფოლკლორით ვერ გააკეთებ. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი ხალხური ფოლკლორია, იქიდან მოვდივართ ჩვენ და იმით უნდა ვიარსებოთ, მაგრამ გავრცელების არეალზე რომაა ლაპარაკი და იმაზე, თუ როგორ ვაჩვენოთ მსოფლიოს, ვინ ვართ - მხოლოდ ფოლკლორით არაფერი გამოგვივა. მაგრამ საერთოდაც დავიღუპებით, თუ სოფელში კაცი აღარ იმღერებს, თუ ხალხური სიმღერა და ცეკვა თავის უნიკალურ ფორმებს დაკარგავს. აქ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ამბავი ხდება. რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეს უკვე პროფესიული ხელოვნებაა. აკადემიურ დონეზე აყვანილი პროფესიული მუსიკაა. ჩვენ ხალხურ პროფესიონალიზმს ვემსახურებით. მაგრამ ფოლკლორზეც ძალიანაც ვზრუნავთ. აბა, სხვა რას ვაკეთებთ? ქართული ხალხური ხელოვნების გასაცენიურებით მისი უნიკალურობა მთელ მსოფლიოს დავანახეთ. ჩვენ თუ გვინდა წარმატებას მივაღწიოთ საზღვარგარეთ, ამისთვის უნდა გავითვალისწინოთ მათი კულტურა და მსოფლმხედველობა. ხალხურის გასცენიურებას კი ბევრი თავისი მოაქვს. იქ თუ "ლილემ" და "ჩაკრულომ" არ იგუგუნა, თუ დიდი გუნდი არ მღერის, იქ თუ სანახაობამ არ მოხიბლა მაყურებელი - არაფერი გამოვა. თანაც ჩვენ საუკეთესო ნიმუშებს ვირჩევთ, ისეთებს, რომლებსაც უცხოელი მაყურებელი იოლად მიიღებს.

ფოლკლორის შენარჩუნებაზე თბილისი ვერ იზრუნებს. სოფელმა უნდა მიხედოს ამ საქმეს. პრობლემა იმაშია, რომ იქაც ჩვენ, სახელმწიფო ანსამბლებს გვბაძავენ. მთავარია, სვანეთში, გურიაში, სამეგრელოში იმღერონ, მაგრამ სიმღერის სურვლი რომ ჰქონდეთ, არ უნდა შიოდეთ. ჯერჯერობით რაღაც კიდევ არსებობს, მალე შეიძლება ესეც აღარ გვქონდეს. სახელმწიფომ ის კაცი უნდა დააფასოს, საქმე გამოუჩინოს, რომ არც შიმშილით მოკვდეს და საღამოს ცოტა წაიმღეროს კიდეც. იუნესკომ აღიარა, რომ ჩვენი სიმღერა უნიკალურია და ჩვენ არ გვინდა, ეს დავინახოთ და მოვუაროთ. არის მეცენატური წამოწყებებიც, მაგრამ ეს კამპანიური ხასიათისაა. თუ ფოლკლორი არ იქნება, აღარც ერისიონი იქნება და აღარც სხვა."

ანსამბლის ხელმძღვანელად ჯემალ ჭკუასელის დანიშვნას საზოგადოება თავის დროზე სხვადასხვაგვარად შეხვდა. ბატონი ჯემალი იხსენებს, რომ იოლი ის პერიოდი მისთვის ნამდვილად არ ყოფილა. მიუხედავად სირთულეებისა, ფაქტია, რომ სახელმწიფო ანსამბლის წარმატება, მის სახელსა და მის გვერდით დღეს მყოფ ადამიანებს უკავშირდება. ბატონი ჯემალი ანსამბლის წარმატებისა და იმ გუნდს ასახელებს, რომლებიც უკვე არაერთი წელია მის გვერდით დგანან და მასთან ერთად იბრძვიან.

"შემოქმედებით ჯგუფზეა დამოკიდებული ყველაფერი, წარმატებაც აქედან იწყება. ჩვენს წინსვლაში ლომის წილი მიუძღვის ჩვენს დიდ ქორეოგრაფს რევაზ ჭოხონელიძეს. ის საოცრად მოაზროვნე ადამიანია. ძალიან მუსიკალურად მოაზროვნე ქორეოგრაფია. ჩვენი წარმოდგენების ხილვის შედეგ ყველაგან აღფრთოვანებულნი რჩებიან და პირველ რიგში ჩვენი მხატვრობითა და კოსტიუმებით, რომლებიც მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილს ეკუთვნის. მისი ნამუშევრები ერთდროულად საოცრად ეროვნულია და საოცრად მორგებული სცენას. ბერძენიშვილის მხატვრობა არაჩვეულებრივად შეეგუა იმ საოცარ განათებას, რომელიც ჩვენს სპექტაკლს ახლავს და რომელიც უცხოელ სცენოგრაფს ეკუთვნის."

- ბატონო ჯემალ, რა გახდა თქვენი პირადი წარმატების მიზეზი?

- შრომისუნარიანობა, მიზანდასახულობა და კიდევ ერთი, ჩემი შეშინება ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელი. როცა ვაკეთებ საქმეს, განსაკუთრებით მაშინ. ძალიან ფიცხი გურული ვარ, ძალიან...თუმცა, ერთ დეტალზე თვეობით და წლობით ვფიქრობ და არ მწყინდება. ნიჭიც მქონია სათანადო. ორგანიზატორული ნიჭი და ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭი. ბევრი უთქვამთ ჩემთვის, მაგრამ ამ ყველაფერს კი არ ვყლაპავდი, არამედ ვითმენდი. აგრარული უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული და ამის გამო მაკრიტიკებდნენ, კონსერვატორია არ აქვსო დამთავრებული, მაშინ მაინტერესებს "ლილეს" ავტორს რა ჰქონდა დამთავრებული? აი, იმის სკოლას ვენაცვალე მე. მთავარი საქმის სიყვარული და მისდამი ერთგულებაა.

მას შემდეგ, რაც აღნიაშვილი-რატისლის გუნდმა პროფესიულ სცენაზე ფეხი დადგა, 120 წელი გავიდა. "ერისიონი" 17,18, 19 და 20 ნოემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ამ საიუბილეო თარიღს ახალი, მესამე სანახაობით იზეიმებს.

შოთა რუსთაველი კიევში

23 წლის ვლადიმერ იმერლიშვილი კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორია

პირველი გვერდიდან

2005 წელი ამ ქვეყანაში საქართველოს წლადაა გამოცხადებული. რუსთაველის ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით კი პრეზიდენტ სააკაშვილის სპეციალური განკარგულებაც კი არსებობს, რომლის სათაურიდან გამომდინარე ძეგლის დადგმას რამდენიმე ღონისძიებაც უნდა ახლდეს. თუმცა ეს მომავლის პერსპექტივაა, რადგან კიევში ძეგლი, სავარაუდოდ, რამდენიმე თვეში გაიხსნება (მისი დადგმა რუსთაველის ქუჩის კუთხეშია გათვალისწინებული).

ძეგლის შესარჩევი კონკურსი 30 აგვისტოს გამოცხადდა. კიევიდან სპეციალური ვიდეო და ფოტომასალა გამოაგზავნეს, რომელიც მოქანდაკეებისთვის დამხმარე მასალას წარმოადგენდა. შედეგად კონკურსში მონაწილეთა რიცხვმა 35-ს მიაღწია. მათი ვინაობა ჟიურისთვის იმთავითვე უცნობი იყო, რადგან კონკურსანტებმა ნამუშევრები ინკოგნიტოდ ჩააბარეს. ვინაიდან საქმე შოთა რუსთაველს, თანაც მისი ძეგლის უცხო ქვეყანაში დადგმას ეხებოდა, საკმაოდ წარმომადგენლობითი ჟიური დაინიშნა. ჟიურის თავმჯდომარეს, სამხატვრო აკადემიის რექტორ გია ბუღაძეს გვერდს უმშვენებდნენ კულტურის მინისტრის მოადგილე თამარ ქვარიანი, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ზაზა აბაშიძე, მონუმენტალისტი გია იაშვილი, მოქანდაკეები ლევან ვარდოსანიძე, ჯუმბერ ჯიქია და ნოდარ თოფურია, არქიტექტორი ამირან ბახტაძე, ხელოვნების მუზეუმის დირექტორი გია მარსაგიშვილი, მხატვარი მურაზ მურვანიძე და სურათების ეროვნული გალერეის დირექტორი ქეთევან კორძახია. თუმცა ამ შემადგენლობას განსაკუთრებული მუშაობა, ალბათ, არ დასჭირვებია, რადგან, როგორც გუშინ სურათების ეროვნულ გალერეაში გამართულ გამარჯვებულის გამოსავლენ შეკრებაზე გამოჩნდა, საუკეთესო პროექტი აშკარად თვალნათელი იყო.

ნებისმიერი ქართველს საკუთარ ცნობიერებაში შოთა რუსთაველი ერთმნიშვნელოვნად "ვეფხისტყაოსნის" წერის პროცესში წარმოუდგენია. გაცილებით მდიდარი წარმოსახვის მქონეთა გონებაში რუსთაველს ვეფხვიც (ჯერ კიდევ გაუტყავებელი) უმშვენებს გვერდს. სწორედ, ეს სულისკვეთება შეინარჩუნა კონკურსის მონაწილე მოქანდაკეთა უმეტესობამ. მხოლოდ რამდენიმე ნამუშევრის ავტორმა დააყენა ფეხზე შოთა რუსთაველი, მაგრამ მის უკვდავ ნაწარმოებს (ხან წიგნის, ხანაც გრაგნილის სახით) მაინც ვერ შეელია.

ბაბო ელიავა/ნინო. ფოტო

გამოფენაზე

ძალიან ცოტა იყო ნამუშევარი, რომლის ავტორსაც აღნიშნული ჩარჩოდან გადახვევის მცდელობა ჰქონდა, თუმცა მათი ორიგინალური ხედვა ხანდახან ზედმეტიც იყო. მაგალითად, ერთ-ერთი პროექტის ავტორი თავის კონცეფციაში წერდა, არავინ იცის, როგორ გამოიყურებოდა შოთა რუსთაველი მაღალი იყო თუ გამხდარი, მაგრამ ყველამ ვიცით, როგორი დიდი სულიერების მატარებელიც იყო, ამიტომ გადავწყვიტე შოთას სული გამომექანდაკებინაო. მისი რუსთაველი მამაკაცის მჯდომარე ფიგურაა, რომელიც სქელ მავთულხლართშია გახვეული - ეს აშკარად ძალიან თამამი პოზიციაა.

თუმცა ეს ნამუშევარი, ისევე, როგორც დანარჩენი 34 შეგვიძლია თავისუფლად დავივიწყოთ, რადგან დღეიდან მათ შესახებ მხოლოდ ავტორებს თუ ემახსოვრებათ. კონკურსში კი სრულიად უცნობმა ავტორმა 23 წლის ვლადიმერ იმერლიშვილმა გაიმარჯვა. მან ამ ნამუშევრისთვის არა მხოლოდ 10 ათას ლარიანი პრემია, არამედ სამომავლოდ ჩინებული პროფესიული ტრამპლინიც მიიღო - შექმნა შოთა რუსთაველის ძეგლი, რომელიც სხვა ქვეყანაში უნდა დაიდგას. სხვათა შორის, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 11-კაციანმა ჟიურიმ იმერლიშვილის პროექტი ერთხმად მოიწონა.

ვლადიმერ იმერლიშვილმა შარშან დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, გოგი ოჩიაურის სახელოსნო. მისი ნამუშევარი ორნაწილიანია. ძირითადი ნაწილის ზედა მხარეს გამოსახულია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მდებარე შოთა რუსთაველის ფრესკის სახის ნაწილი. მის მოპირდაპირე მხარეს აღმართული სვეტი, რომელიც, სავარაუდოდ, დედაბოძსაც განასახიერებს, რუსთაველის აფორიზმებით მოიხატება. გარდა ამისა, მას დამატებითი ფუნქციაც აქვს - ამ სვეტიდან გამომავალი შუქი ღამე რუსთაველის სახეს გაანათებს. ძეგლი დაახლოებით ოთხი მეტრი სიმაღლისა იქნება.

ის, რომ მონუმენტი არ წარმოადგენს კლასიკურ ქანდაკებას და თანამედროვე სტილშია გადაწყვეტილი, შესაძლოა, პრობლემად იქცეს. ქართველი საზოგადოება, ალბათ, ძნელად შეეგუება იმ აზრს, რომ იმერლიშვილის რუსთაველს არც ჩაფიქრებული სახე აქვს და არც ვეფხვი უწევს ფეხებთან. თუმცა ეს ფაქტორი ავტორს ნაკლებად აწუხებს და მიიჩნევს, რომ იერუსალიმის ჯვრის კონასტრის ფრესკა იმდენად დიდებულია, რომ მისი ნამუშევრისადმი ნეგატიური განწყობა არავის შეექმნება.

მოთხოვნა დაინტერესების გამოხატვის შესახებ

საქართველო, სტრუქტურული რეფორმების მხარდაჭერის პროექტი
საკონსულტაციო მომსახურება შემდეგ სფეროში: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ერთიანი მონაცემთა ბაზის და ვებ-პორტალის შექმნა.
კრედიტის N 3264 GE

დაინტერესების გამოხატვა

განცხადებას პროექტისათვის საჭირო საერთო შესყიდვებზე, რომელიც გამოქვეყნდა *Development Business* "ბიზნესის განვითარება"- ში (№536 2000 წლის 16 ივნისს), თან სდევს მოთხოვნა დაინტერესების გამოხატვის შესახებ.

საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო კრედიტი (შემდგომში „კრედიტი"), სტრუქტურული რეფორმების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში. ამ კრედიტის ნაწილი უნდა მოხმარდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ერთიან მონაცემთა ბაზის და ვებ-პორტალის შექმნის ხარჯებს, საკონსულტაციო მომსახურების კონტრაქტის ფარგლებში .

საკონსულტაციო მომსახურება არ შემოიფარგლება მხოლოდ კონსულტირებით და ითვალისწინებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის დახმარების გაწევას შემდეგ საკითხებში:

- ფანანსთა სამინისტროს სისტემაში ინფორმაციის მოძრაობის/გაცვლის შესწავლა;

ერთიანი მონაცემთა ბაზების ფუნქციონალური და არქიტექტურული დიზაინის განვითარება (ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებში არსებული მონაცემთა ბაზების ერთიანი ლოგიკური სტრუქტურა);

- კონცეპტუალური დიზაინის შექმნა მონაცემთა ბაზის ვებ პორტალისათვის, რომელიც საშუალებას იძლევა შიდა და გარე მომხმარებლების მიერ მიღებული იქნას ანალიტიკური და სტატისტიკური ინფორმაცია ერთიანი მონაცემთა ბაზიდან;

სრულ ფუნქციონალური ერთიანი მონაცემთა ბაზების შექმნა და დანერგვა;

- სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ლოკალური კორპორატიული web სერვერის (intranet) შექმნა, სხვადასხვა სამსახურებისა და თანამშრომლებისათვის შესაბამისი დაშვების დონეების განსაზღვრა;

IT სისტემების უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარება;

- ფინანსთა სამინისტროს ვებ პორტალის განვითარება, დანერგვა;

პორტალის მომხმარებლების (ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები) სასწავლო გეგმის შემუშავება, რაც ვებ პორტალის ეფექტური გამოყენების და სამუშაო ადგილებზე სისტემის ნაკლოვანებების აღმოფხვრის საშუალებას იძლევა;

- დაშვების დონეების გათვალისწინებით სტანდარტული ანგარიშგებების ფორმების დინამიური (ერთიანი მონაცემთა ბაზებდან) პუბლიკაცია კორპორატიული web პორტალის საშუალებით.

კონტრაქტის მოსალოდნელი ხანგრძლივობა - 8 თვე;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იწვევს საკონსულტაციო კომპანიებს გამოხატონ დაინტერესება აღნიშნული მომსახურების უზრუნველყოფის შესახებ. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ მათ მიერ მსგავსი მომსახურების გაწევის შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია (კომპანიის რეკომენდაციები, ძირითადი პერსონალის CV-ები, მსგავსი დავალებების აღწერა, გამოცდილება ანალოგიური სფეროში და სხვა).

კონსულტანტი არჩეულ იქნება მსოფლიო ბანკის მითითებით "მსოფლიო ბანკის კრედიტორის მიერ კონსულტანტის არჩევა და დაქირავება" (უკანასკნელად შესწორებულია 2002 წლის მაისში) განსაზღვრული პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კომპანიებს დეტალური ინფორმაციის მიღება შეუძლიათ მითითებულ მისამართზე, ადგილობრივი დროით 10 - 18 საათამდე.

წერილი დაინტერესების შესახებ გამოგზავნილ უნდა იქნას მითითებულ მისამართზე განცხადების გამოქვეყნებიდან 10 დღის განმავლობაში.

დავით ცეკვავა
საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
0162, საქართველო, ქ. თბილისი, ი. აბაშიძის №70;
ტელ: +995-32-22-67-07;
ფაქსი: +995-32-931-922
E-mail: d.tsekvava@mof.ge

"ჰარი პოტერი" ეროტიკულ თრილერად იქცა

თანამედროვეობის ყველაზე ახალგაზრდა ჯადოქრის, ჰარი პოტერის მილიონობით თაყვანისმცემელი მოუთმენლად ელის კუმირის ახალ თავგადასავლებს. თუმცა ამბობენ, რომ ფილმი, რომლის პრემიერაც 18 ნოემბრისთვის შედგება, ყველაზე ერთგულ ფანებსაც კი გააოცებს. მკითხველები და კრიტიკოსები ჯერ კიდევ წიგნი "ჰარი პოტერი და ცეცხლის კუბის" გამოცემისას აღნიშნავდნენ, რომ ჯოან როულინგის მიერ შექმნილი სამყარო სულ უფრო მუქდება. სიუჟეტის გამძაფრებაზე ჰოლივუდელმა ხელოვანებმაც იზრუნეს და თანაც ისე, რომ ფილმების კლასიფიკაციაზე მომუშავე ბრიტანულმა საბჭომ მას მკაცრი შეფასება მისცა და "12A" რეიტინგი მიანიჭა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 12 წლის ასაკის ბავშვი მშობლის გარეშე ფილმს ვერ იხილავს.

ასე რომ, პოტერომანიით შეპყრობილი პატარები, რომლებმაც წერა-კითხვა საყვარელი პერსონაჟის ხათრით ისწავლეს, იმედგაცრუებულები დარჩებიან. თუმცა ფილმის შემქმნელებს ეს სულაც არ აღელვებთ. ახალი "პოტერის" რეჟისორი მაიქლ ნიუელი, რომელმაც კრის კოლამბუსი და ალფონსო კუარონსი შეცვალა, დარწმუნებულია, რომ ეკრანიზირებული რომანი ბავშვებისთვის განკუთვნილი სულაც არ არის. "ბავშვები, რომლებსაც თავის დროზე პირველი ფილმი შეუყვარდათ, დღეს 14-16 წლის არიან და მათ სხვაგვარი კინო აინტერესებთ," - ამბობს ნიუელი. ასევე ფიქრობს გერმიონ გრეინჯერის როლის შემსრულებელი ემა უოტსონი: "რას იზამ, ფილმში მოქმედების დროს ვიღაც უნდა დაიღუპოს".

თუმცა ბრიტანელ ცენზურობს არა მხოლოდ რომელიღაც გმირის სიკვდილი და მონსტრების რაზმი ანაღვლებთ. ივლისის ტერაქტების შემდეგ დაზარალებულმა ინგლისელებმა ზოგიერთ ეპიზოდში პოლიტიკური ქვეტექსტებიც ამოიკითხეს, მაგალითად, სცენაში, სადაც სიკვდილმჭამელები კვიდიჩის ბანკს იპყრობენ.

ეს საბავშვო ფილმი რომ აღარ არის, ამას სქესთა შორის ურთიერთობის სცენებიც ამტკიცებს. მაგალითად, ჰარი გერმიონის ერთგული მეგობარი გადაიქცევა მშვენიერ ქალად, რომელიც ახალგაზრდების ყურადღებას მიიქცევს. მთავარი გმირი კი, მორიდებული "აჩკარიკი", ცხოვრებაში პირველად ჰკოცნის ჩო ჩანგის არაჩვეულებრივ თანაკლასელს. თუმცა დენიელ რედკლიფი და ქეით ლეუნი ირწმუნებიან, რომ კოცნა სცენარით გათვალისწინებული არ იყო, "უბრალოდ ასე გამოვიდა." სწორედ რომ ასეა, რადგან მსახიობები გაიზარდნენ, ისინი აღარ არიან პატარა გოგო-ბიჭები და ამის დაფარვა უფრო და უფრო დიდ პრობლემებს უკავშირდება.

ყურადღება!
!! რუსთაველი
"დაკარგული სამოთხე"
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქანითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207

ბრიტანელების საყვარელი მიუზიკლი "ბრიოლინია"

ინგლისელების ყველაზე საყვარელი მიუზიკლი "ბრიოლინი" ყოფილა. მან გადაუსწრო ისეთ ცნობილ შოუებს, როგორიცაა "კატები", "ოპერის აჩრდილი" და "ჩიკაგო".

ეს მიუზიკლი ბროდვეიზე 1972 წელს დაიდგა და პოპულარული 1980 წლამდე იყო. 1994 წელს მისი ჩვენება კვლავ წარმატებით განახლდა. სულ მიუზიკლმა "ტონის" ცხრა ჯილდო დაიმსახურა. 1978 წელს ეკრანებზე ასეთივე სახელწოდების ფილმიც გამოჩნდა. მთავარი როლები ოლივია ნიუტონ-ჯონმა და ჯონ ტრავოლტამ შეასრულეს. ისტორიის კინოვერსიაც არანაკლებ პოპულარული იყო და ხუთი "ოქროს გლობუსი" მოიპოვა.

ლონდონში მიუზიკლი პირველად 1973 წელს დაიდგა. აღსანიშნავია, რომ პირველ ბრიტანულ ჯგუფთან ერთად დენი ზუკოს როლი იმ დროისთვის უცნობმა მსახიობმა რიჩარდ გირმა ითამაშა. ეს დადგმაც ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. 2003 წელს გავლენიანმა ტელეარხმა Channel 4 მაყურებელს სთხოვა დაესახელებინა მათთვის ყველაზე საყვარელი მიუზიკლი. ჰიტ-ღლუმი ასეთი აღმოჩნდა:

1. Grease
2. Rocky Horror Picture Show
3. The Phantom of the Opera
4. Les Miserables
5. Joseph and the Amazing Technicolor Dreamcoat
6.. West Side Story
7. The Lion King
8. Cats
9. Chicago
10. The Sound of Music

კვლევა კომპანია Wales Millennium Centre-მა ჩაატარა. გამოკითხვაში კი 2341 ადამიანი მონაწილეობდა.

სერიალი ელტონ ჯონზე

ამერიკული ტელეკომპანია ABC მზადაა აჩვენოს კომედიური სერიალის საპილოტო ეპიზოდი, რომლის პროდიუსერიც ცნობილი პოპმუსიკოსი ელტონ ჯონი გახლავთ. ფილმი "ის და ჩვენ" მან თავის მეგობრებსა და ნაცნობებს მიუძღვნა. პირველი სერიის ეთერში გასვლის ზუსტი თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

სერიალი ელტონ ჯონის ცხოვრებაზეა. სცენარზე სინდი ჩუპაკმა (ტელესერიალის "სექსი დიდ ქალაქში" პროდიუსერმა) იმუშავა. სპეციალურად ფილმისთვის სიმღერაც დაიწერა.

58 წლის ელტონ ჯონი კი კვლავაც შემოქმედებით წვაშია. არც ისე დიდი ხნის წინ მან მუშაობა დაასრულა ენ რაისის წიგნ "ვამპირი ლესტატის" მიხედვით გადაღებულ მიუზიკლზე. მისი პრემიერა 2005 წლის დეკემბერში სან-ფრანცისკოშია დაგეგმილი, 2006 წლის აპრილში კი შოუს ბროდვეიზეც აჩვენებენ.

შობამდე მუსიკოსი სარეკლამო სააგენტოს თანამშრომელზე, 42 წლის დევიდ ფერნიშზე ქორწინდება. ელტონი მას 1993 წლიდან ხვდება. ახალდაქორწინებულებს თაფლობის თვე არ ექნებათ, რადგან ამ პერიოდში მომღერალს აშშ-ში საგასტროლო ტურნე უწევს.

დეპარდიე კინოდან მიდის

ცნობილი ფრანგი მსახიობი ჟერარ დეპარდიე სიგარეტს თავს ანებებს და კინოდან მიდის.

"ფილმებში გადაღება აღარ მსურს და თან სიგარეტსაც თავს ვანებებ," - განაცხადა დეპარდიემ. მსახიობის თქმით, ის აღარ აპირებს ვინმეს რაიმე უმტკიცოს: "მივდივარ და 170 ფილმზე მეტს ვტოვებ. დასაკარგი არაფერი მაქვს."

გაზეთ Le Parisien Dimanche ინფორმაციით, მსახიობი კინობიზნესზე უარის თქმის ზუსტი თარიღის დასახელებისგან თავს იკავებს. ის ჯერ კიდევ მუშაობს გადამღებ მოედანზე. მისი მონაწილეობით ახალი და უკანასკნელი ფილმის ნახვას 2006 წელს შევძლებთ, გარდა ამისა, დეპარდიეს ვიხილავთ კინოთავგადასავლის - "ასტერიკსა და ობელიკსას" მორიგ სერიაშიც, რომლის პრემიერაც მომავალი წლისთვისაა დაგეგმილი.

56 წლის ჟერარ დეპარდიე ფრანგული კინოს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მსახიობადაა მიჩნეული. როლისთვის ფილმში "სირანო დე ბერჟერაკი" ის "ოსკარზეც" კი იყო ნომინირებული.